# სარბიელი

სპორტული გაზეთი    შაბათი 9 ნოემბერი 2002 №214 (1736)    ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოუშვით ჰიცფელდი საქართველოში



ისევ დერბი...

საქართველოს ჩემპიონატის წინა ტურში ხორვატიულად განვრთნილი „დინამო" იტალიურად განვრთნილ „ვიტ ჯორჯიასთან" დამარცხდა, ხვალ კი დინამოელებს არანაკლები მატჩი ელით — ამ სეზონში პირველად ხვდებიან პერუულად და პერუელებით დაგეშილ „ლოკომოტივს".

არანაკლებიო, ვთქვით და, მეტიც უნდა იყოს, რაკი საჩემპიონო ჭიდილში „დინამოს" მეტოქე რკინიგზელები უფრო არიან.

ივო შუშაკი ტრავმა-დისკვალიფიკაციების გამო ლამის განახევრებული გუნდით ხვდება მატჩს, მაგრამ ნურას უკაცრავად — ნაგება კი არა, ფრეზე ფიქრსაც არ გავივლებ გულშიო.

ლუის ცაკარიასს კი საქმეში უკვე ნანახი რაფაელ გალიარდოს მხარდამხარ ხუან დიეგო გონსალესის თამაშის საშუალება ეძლევა. პერუელებს კლუბმა გუშინ მოუწყო პრეზენტაცია. თავად ცაკარიასმა კი, „დინამოს" დამარცხება ჩვენი საჩემპიონო შანსიაო.

შანსს გამოყენება უნდა.



„ლოკომოტივ" — „დინამოს" საჩემპიონო ჭიდილში კვირას პერუელებიც ჩაერევიან



მილანელ ფილიპო ინძაგის და ტურინელ ჩირო ფერარას ერთდროს გასაყოფი არაფერი ჰქონდათ

იქ, ევროპაში, თავისი გამორჩეული მატჩები აქვთ. მანჩესტერში ევროპის ამ ერთ-ერთ უძველეს დერბიში 136-ედ შეებმებიან „სიტი" და „იუნაიტედი". თანაქალაქელთა ომში თავის დროზე გიორგი ქინქლაძეც გარეულა, მიხეილ ყაველაშვილს კი სულაც გოლი გაუტანია. მანჩესტერული დერბი ისეთი რამაა, „სიტის" ახლანდელი არცთუ კარგი გუნდობა არაფერს ნიშნავს, მის კარს კი დაიცავს „იუნაიტედის" ოდინდელი გმირი პიტერ შმაიხელი.

...ტურინში ბრუნდებიან კარლო ანჩელოტი და ფილიპო ინძაგი. „იუვენტუსისა" და „მილანის" ჯახი მეტად ფრთხილი და ეგებ ნაკლებად თვალსასეირო გამოდგეს, მაგრამ ფეხბურთელებსაც და ქომაგთაც ნერვები დაწყვეტაზე ექნებათ.

...ვინძლო ოტმარ ჰიცფელდისთვის საბედისწეროც გამოდგეს „დორტმუნდთან" მატჩი. მთელი გერმანია „ბაიერნის" თავკაცს ისედაც ალმაცერად უყურებს. არადა, ჰიცფელდი ის კაცია, „დორტმუნდსაც" და „ბაიერნსაც" ჩემპიონთა ლიგა რომ მოაგებინა.

## ჭადრაკი

### მსოფლიო ოლიმპიადა. ბლედი (სლოვენია)

მე-13 ტური

**ვაჟები**

საქართველო — კანადა 3,5:0,5 (ზურაბ აზმაიფარაშვილი — ალექსანდრ ლესიეჟი 1:0, ზურაბ სტურუა — კევინ სპრაგეტი 0,5:0,5, მიხეილ მჭედლიშვილი — იან ტეპლიცკი 1:0, მერაბ გაგუნაშვილი — მარკ ბლუვშტაინი 1:0); რუსეთი — ისრაელი 2:2; ჩინეთი — ხორვატია 3:1; უნგრეთი — სომხეთი 2:2; იუგოსლავია — პოლონეთი 2:2; ინგლისი — გერმანია 2:2; საბერძნეთი — ჰოლანდია 1,5:2,5; მაკედონია — უკრაინა 2:2; ლიტვა — საფრანგეთი 1,5:2,5

**ქალები**

საქართველო — ბულგარეთი 1:2 (მაია ჩიბურდანიძე — ანტოანეტა სტეფანოვა 0,5:0,5, ნინო ხურციძე — სილვია ალექსიევა-კოლასი 0:1, ქეთევან არახამია-გრანტი — მარია ველჩევა 0,5:0,5); უკრაინა — ჩინეთი 1,5:1,5; ვიეტნამი — რუსეთი 1,5:1,5; სომხეთი — პოლონეთი 1:2; აშშ — ინდოეთი 2:1; სლოვაკეთი — რუმინეთი 2:1, იუგოსლავია — საფრანგეთი 2,5:0,5; უნგრეთი — ინგლისი 1,5:1,5; ხორვატია — ჩეხეთი 1,5:1,5; ისრაელი — კუბა 2,5:0,5; შვეიცარია — ბელარუსი 1:2

### სატურნირო ვითარება

**ვაჟები**

1. რუსეთი (36,5 ქულა) 2. უნგრეთი (34,5) 3. საქართველო (33) 4. ჩინეთი (32,5) 5. სომხეთი (32) 6. ისრაელი (31,5) 7. ჰოლანდია (31) 8. პოლონეთი (31) 9. ინგლისი (31) 10. იუგოსლავია (31)

**ქალები**

1. ჩინეთი (27) 2. რუსეთი (26,5) 3. საქართველო (26,5) 4. პოლონეთი (25) 5. ვიეტნამი (24,5) 6. აშშ (24) 7. ბულგარეთი (24) 8. იუგოსლავია (23,5) 9. სომხეთი (23,5) 10. უკრაინა (23,5)

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XII ტური

ბურგჰაუზენი 3:0 ოზერჰაუზენი
აინტრახტი 0:0 ბრაუნშვაიგი
ალემანია 3:0 უნიონი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XVI ტური

ბაბელსბერგი 2:0 მიუნსტერი
ოსნაბრიუკი 1:0 ჰამბურგი (მ)

სამხრეთ
რეგიონალლიგა
XVIII ტური

ზაარბრიუკენი 1:0 ლაუტერნი (მ)
დარმშტადტი 0:1 ჰოფენჰაიმი

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XI ტური

როდა 1:1 აიაქსი

II დივიზიონი. XI ტური

ვენდამი 0:0 დორდრეხტი
ვოლენდამი 1:2 სიტარდი
იგლსი 3:1 ეინდჰოვენი
ოსი 1:0 ტელსტარი
ვენლო 2:4 სპარტა

### თურქეთი

XII ტური

ბეშიქთაში 3:1 ელაზიგი

### ბელგია

I დივიზიონი
XII ტური

სენტ ტრუიდენი 3:1 ანდერლეხტი

### პოლონეთი

XIII ტური

ზაგლები 1:1 ამიცა

### საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
XIV ტური

ნიცა 1:0 მონაკო

მეორე დივიზიონი
XV ტური

ვალკიალი 2:2 კაენი

### პორტუგალია

I ლიგა
X ტური

გიმარაეში 1:3 სპორტინგი



REUTERS ფოტო

ნიცა — მონაკო. მასპინძელმა სერჟ ილიმ (მარცხნივ) ბურთს პირველმა შეხედა

საქართველოს 14 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

## 16 ტური

# შუშაკს მუშაკები მოაკლდა
# ცაკარიასი ჯანის იმედზეა



ივო შუშაკი

თბილისი. ლოკომოტივი. 10 ნოემბერი. 15 საათი

**ლოკომოტივი — დინამო**

დისკვალიფიცირებული: დარასელია (დინამო)

ქუთაისი. ტორპედო. 10 ნოემბერი. 15 საათი

**ტორპედო — მეტალურგი**

რუსთავი. ფოლადი. 10 ნოემბერი. 15 საათი

**გორდა — კოლხეთი**

დისკვალიფიცირებულნი: ზვ. ლაბაძე, ზ. ლაბაძე (ორივე გორდა)

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 10 ნოემბერი. 15 საათი

**სიონი — მილანი**

თბილისი. შევარდენი. 11 ნოემბერი. 15 საათი

**ვიტ ჯორჯია — ბათუმი**

დისკვალიფიცირებული: რომანაძე (ბათუმი)

თბილისი. სინათლე. 12 ნოემბერი. 15 საათი

**მერანი — დილა**

**კვირას** სამდღეგაწელილი ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტური იწყება. დღის და, რაღა თქმა უნდა, ტურის ცენტრალური მატჩი „ლოკომოტივი“—„დინამოა“. ქართული დერბი უცხოტომელთა დაპირისპირებით — პერუელი ცაკარიასი ხორვატი შუშაკის წინააღმდეგ. ამ და ტურის სხვა მატჩების მომსახურე ინსპექტორ-მსაჯების ვინაობას სფფ დღეს გამოაცხადებს, ჩვენ კი იმაზე ვთქვათ, რაც გუშინაც ცნობილი იყო.

„ლოკომოტივი“ და „დინამო“ მეთოთხმეტე ეროვნულ ჩემპიონატში კვირას პირველად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მათი საპირველწრეო მატჩი, რომელიც მეოთხე ტურში უნდა გამართულიყო, ორჯერ გადაიდო, ორჯერვე მიზეზი „ეროვნულის“ „მოუცლელობა“ იყო.

გუშინ „დინამოს“ პრესცენტრმა გუნდის ქომაგთათვის შემაშფოთებელი განცხადება გააკეთა. კვირას „დინამოს“ არ ეყოლება კარლოსი, ბურდული, ახალაია, დარასელია და ამისულაშვილი.

დარასელიამ „ვიტ ჯორჯიასთან“ ყვითელი ბარათი მიიღო. ეს რიგით მესამე აღმოჩნდა მისთვის და დისკვალიფიკაციის გამო მოცდება. კარლოსი ტრავმირებულია. ვიტელებთან მან მუხლი დაიზიანა და თამაშს ვინ ჩივის, ერთი კვირის მერე თუ გააგრძელებს ვარჯიშს. კუნთი აქვს დაჭიმული ამისულაშვილს. მან გუშინ ვარჯიშის დასრულება ვერ შეძლო. წელატკიებულმა ბურდულმა კი გუშინ საერთოდ ვერ მოახერხა ვარჯიში. ახალაია აქამდეც დაშვებული იყო. ვერ ითამაშებს მანჩხავაც, მას მარცხენა ფეხი აწუხებს. ამ ფეხბურთელმა გუშინ ოდენ მსუბუქად ივარჯიშა. ასეთი „კატასტროფული“ ვითარების გამო ივო შუშაკმა გუშინვე სარეზერვო გუნდიდან უხმო ახალგაზრდა გიორგი ექონიას. ეს ფეხბურთელი ცხრამეტწლამდელთა ნაკრების წევრია და შუშაკს ერთობ მოაწონა თავი გუშინდელ ვარჯიშზე.

ხორვატს ოდნავ თუ გამოუკეთებს გუნებას ოთარ ხიზანეიშვილის დაბრუნება. ექსსპარტაკელმა გუშინ სრული დატვირთვით ივარჯიშა და კვირას ალბათ ძირითადშიც ვნახავთ. მომჯობინდა მანწკავაც და „ლოკომოტივთან“ მისი თამაშიც არის მოსალოდნელი.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ივო შუშაკი იმედიანად არის განწყობილი. ეს მის მიერ წინასამატჩოდ გაკეთებულ კომენტარში ჩანს.

**ივო შუშაკი:** „ისევ დერბი და ისევ ურთულესი მატჩი. მოედნის ფაქტორს მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მატჩამდე ფურცელზე ორივე გუნდის შანსები თანაბარია. თავად შეხვედრა გამოაჩენს, თუ ვინ გაზრდის თავის შანსს. მართალია, ტრავმებმა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ჩამოგვაშორა, მაგრამ ნურვინ იფიქრებს, რომ „დინამო“ კვირას რიდით ითამაშებს. ჩვენ არამც და არამც არ ჩავსხდებით დაცვაში, პირიქით, შევუტევთ და ამ გზით ვეცდებით სარგებლის ნახვას. ფრეზე ფიქრიც გამორიცხულია, ჩვენ მოსაგებად გავდივართ. „ვიტ ჯორჯიასთან“ მარცხი ნურვის აფიქრებინებს, რომ ჩავარდნა დაგვეწყო, რაც იყო, იყო. ეს მწარე მარცხი უკვე დავივიწყეთ, ამაში კვირას „ლოკომოტივზე“ მისული ქომაგიც დარწმუნდება. ისინი იქ თავდადებით მებრძოლ ჩემს ბიჭებს ნახავენ. ჩვენ ისე ვითამაშებთ, როგორც „დინამოს“ ეკადრება“.

საპირისპირო ვითარებაა რკინიგზელთა ბანაკში. გუნდი ჩინებულ ფსიქოლოგიურ განწყობაზეა. გუშინ „ლოკომოტივმა“ ხუან დიეგო გონსალესის განაცხადში შეყვანა შეძლო და ახალწვეულთა ოფიციალური წარდგენა მოაწყო. რაფაელ გალიარდომ თავისი ვარგისიანობა გურჯაანშიც დაამტკიცა და რაღა გასაკვირია, რომ ცაკარიასით ცეცხლშენთებულმა პრინციპულ საშინაო მატჩში ერთიორად მოინდომოს.

რკინიგზელებს ყველა ჯანზე ჰყავთ, მათ შორის ზაზა ჯანაშიაც, თუმცა, სავარაუდოდ, მისი ადგილი რკინიგზელთა შორის კვირას არ იქნება, რაკილა დისციპლინასთან მწყრალად მყოფი ჯანაშია ცაკარიასმა გუშინ სამარქაფოებში ავარჯიშა.

ცაკარიასი ერთობ ჩაფიქრებულია კარსმომდგარი მატჩით. ეს პერუელ ულვაშას გუშინდელ პრეზენტაციაზეც დაეტყო გონსალეს-გალიარდოს ნაცვლად უპატესწილად „დინამოზე“ რომ ისაუბრა.

**ლუის ცაკარიასი:** „ეს ჩვენი შანსია. „დინამოს“ ძლევით საჩემპიონო ამბიციებს რეალურს გავხდით. ჭკვიანი, ალღოიანი მწვრთნელის გაწვრთნილი გუნდი გვყავს კვირას მეტოქედ. „დინამოს“ ოთხი თამაში მაქვს ნანახი და ოთხივეჯერ აღტაცებული დავრჩი ამ გუნდით. შუშაკს თითოეული სათამაშო რგოლი დაბალანსებული აქვს, გუნდში ბევრი ტექნიკური და ტაქტიკურად განსწავლული ფეხბურთელი ჰყავს და, რაც მთავარია, „დინამოს“ გუნდური სულისკვეთება არ აკლია.

„ლოკომოტივმა“ ამ გუნდის წინააღმდეგ თავისი კოზირი უნდა გამოიყენოს. ჩემი ფეხბურთელები ფიზიკურად საუცხოოდ არიან მომზადებულნი. ისინი ტექნიკურადაც კარგად გამოიყურებიან, მაგრამ უფრო მათ ფიზიკურ მომზადებას გამოვარჩევ. ამ ფაქტორით შეგვიძლია მეტოქის დაჩაგვრა“.

**ბაატა ქვანტალიანი**



დინამოელი ლადო ბურდული (მარცხნივ) და ლოკომოტიველი ზაზა ჯანაშია კვირას მოედანზე, სავარაუდოდ, არ იქნებიან



# საქართველო, ჩემო პერუ

## ლოკომოტივის სამხრეთული გამოფენა

საქართველოსთან შეგუება რომ არ გაუჭირდება პერუელ რაფაელ გალიარდოს, ცხადზე ცხადია. ჩვენში საქმით მოსული უცხოელები ტრადიციულად ქართულის მტვრევას „გამარჯობით" იწყებენ, გალიარდო მოედნის მიღმაც ნიჭიერი ჩანს. მის მიერ ქართულად ნათქვამი პირველი ორი სიტყვა „მცვადი" და „ხაჩაფურია". აი, ქართული ლაზათის მადლი, დატყვევებულია კაცი — თქვენს ქვეყანას მშობლიური პერუსგან ველარ ვარჩევ, უცებ შემიყვარდა საქართველო, რა სჯობს აქაურობასო. მართალიცაა, მწვადიც გვივარგა და სადაც საჭიროა, ხაჭაპურს ცომზე მეტი ყველი აქვს.

ქართულად ენაადგმული გალიარდო გუშინ „ლოკომოტივის" საპრესკონფერენციო დარბაზში ინონებდა თავს თანამემამულე გონსალესთან ერთად. რკინიგზელებმა პერუელი ლეგიონერების და ასევე პერუელი მწვრთნელის ლუის ცაკარიასის ოფიციალური წარდგენა მოაწყვეს



დიეგო გონსალესს და რაფაელ გალიარდოს „ლოკომოტივის" მაისურები გადასცეს

გონსალესი ვახსენეთ და აუცილებლად უნდა ვთქვათ ამ 17 წლის ბიჭის საჩივარზე. დიეგოს ნუ მეძახით, ჩემი სახელი ხუან დიეგოაო, უთქვამს თანაგუნდელებისთვის, ხანდახან დიეგო არმანდოდაც რომ მოიხსენიებენ. ისე, გონსალესის სრული სახელი და გვარი სანაქებო სუკივით გრძელია — ხუან დიეგო გონსალეს ვიხილ ბენტინ.

გუშინდელ წარდგენას პერუელთა გარდა „ლოკომოტივის" გენერალური მენეჯერი ლევან ყიფიანი, მენეჯერ-სელექციონერი გოჩა თამაზაშვილი, ცაკარიასის თანაშემწე ზაზა დადუნაშვილი და რკინიგზელთა პრესატაშე ნუგზარ ჯულელი ესწრებოდნენ.

**ლევან ყიფიანი:** „ცაკარიასის და ჩვენი თვითმიზანი პერუელების ჩამოყვანა არ ყოფილა. უბრალოდ, ანჩაბაძის წასვლის შემდეგ გუნდში გამთამაშებელი აღარ დაგვრჩა. ამ ამპლუის ფეხბურთელების დეფიციტი სამწუხაროდ იგრძნობა საქართველოში, ამიტომაც გვჭირდებოდა გამოცდილი გამთამაშებელი და, ვფიქრობ, გალიარდო ამ მისიას ღირსეულად შეასრულებს. რაც შეეხება გონსალესს, ის ჯერ ახალგაზრდაა, თუმცა პერუს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის გარკვეული გამოცდილება აქვს, სწორი მუშაობით გონსალესი სრულფასოვან ფეხბურთელად ჩამოყალიბდება.

ორივე ფეხბურთელი უვასოდ გადმოვიბირეთ, მათ დეკემბრამდე გავუფორმეთ კონტრაქტები, თუ თავს გამოიჩენენ, სამომავლოდ უფრო გავახანგრძლივებთ ურთიერთობას. ჩვენ მაღალი მიზნები გვაქვს, ჩემს ოჯახში „დინამოს" და „ტორპედოს" მიერ მოპოვებული ოქროს მედლები ინახება, მინდა, კოლექციას რკინიგზული ოქროც შევმატო."

**ლუის ცაკარიასი:** „გალიარდო ნიჭიერი, ტიპიური გამთამაშებელია. დასამალი არაფერი მაქვს, ჩემი საყვარელი სათამაშო სქემა 4-4-2-ია, ამ სქემის დახვეწა-განვითარებაზე ვფიქრობ დღედალამ და მგონი, გალიარდო ჩემს ტაქტიკურ მონახაზს კარგად მოერგება. გონსალესი ახალგაზრდაა, მაგრამ პერსპექტიული ფეხბურთელია, მასაც მივცემ თავის გამოჩენის შანსს, ალბათ უახლოეს „ტურში" „დინამოსთან" ვათამაშებ".

ცაკარიასმა დავით სირაძეზეც ისაუბრა, ეს ფეხბურთელი კიევის „დინამოს" თვალთახედვის არეში მოხვდა და მწვრთნელმა ისურვა, იქნებ კლუბის ხელმძღვანელობა გვერდში დამიდგეს და როგორმე სირაძე „ლოკომოტივში" დარჩესო. „დათო ნიჭიერი, დიდი მომავლის მქონე ფეხბურთელია, მაგრამ ჯერაც ბევრი აქვს სასწავლი და მირჩევნია, ჩემს თვალწინ დალევინდეს, მერე კი უცხოეთში წასვლაც შეეძლებაო" — თქვა ცაკარიასმა.

ბოლოს პერუელ ახალწვეულთა ჯერიც დადგა. ქართველ რეპორტიორთა ხელში ჩავარდნილმა უცხოელებმა რამდენჯერმე ჩაიცვეს და გაიხადეს საკლუბო მაისურები. გალიარდოს 18 ნომერი ერგო, გონსალესს ასაკის შესაბამისი 17.

**რაფაელ გალიარდო:** „საქართველოთი აღტაცებული ვარ, არა მგონია, აქ ნოსტალგიამ ძალიან შემაწუხოს. პერუს ჰგავს თქვენი ქვეყანა, გუნდშიც ჩინებული სიტუაციაა, კარგი ფეხბურთელები გავიცანი".

**ხუან დიეგო გონსალესი:** „ასეთ დახვედრაზე ვერც ვიოცნებებდი. თბილისი მშვენიერი ქალაქია, გუნდშიც მეგობრულად მიგვიღეს, არანაირი პრობლემა არ მაქვს, მხოლოდ ვარჯიშებზე ვფიქრობ, იმედი მაქვს, რომ თქვენთან დიდხანს დავრჩები".

პრესკონფერენციაში გადაზრდილი პრეზენტაცია შეიძლება დიდხანსაც გაგრძელებულიყო, ყრმა გონსალესს ცაკარიასის დასანახად პირისკენ რომ არ წაელო ხელი.

მალე გალიარდომაც მოუხშირა „მცვადი", „ხაჩაფურის" ძახილს, მასპინძლებმაც მადლობა მოგვიხადეს და დაგვემშვიდობნენ.

მესამე ტაიმი „დინამოსთან" მოგების შემდეგ იქნებაო, იხუმრა ლევან ყიფიანმა.

**ბაათა ძვანტალიანი**

### დიეგო:

# ჯანაშიამ პასი იცის, მე მოძრაობა

### რაფაელი:

# რა სჯობს ცაკარიასთან ყავის სმას

მაშ ასე, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატაში უკვე „ლოკომოტივის" ორივე პერუელს შეუძლია თამაში და ვინძლო ხვალ „დინამოსთან" რაფაელ გალიარდომაც ითამაშოს და დიეგო გონსალესმაც.

პრეზენტაციის შემდეგ მათ საღამო ხანს კიდევ ერთხელ შევხვდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ

**რაფაელ გალიარდო:**

— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე იმას ვიტყვი, რომ ჩვენ შეგვიძლია აქ რაღაც ვისწავლოთ და ამავე დროს, ალბათ ჩვენგანაც ისწავლიან რამეს.

**— ერთი მატჩი უკვე ითამაშეთ „ლოკომოტივის" შემადგენლობაში „მილანის" წინააღმდეგ, კმაყოფილი დარჩით?**

— ის ჩემი საუკეთესო თამაში ნამდვილად არ იყო, თუმცა ნორმალურად ჩავატარე შეხვედრა. აქაურობასთან შეგუება მჭირდება და მერე თამაშსაც გავაუმჯობესებ.

**— თქვენ მანამდე „დინამო" — „მილანის" მატჩს დაესწარით, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ თქვენს უშუალო კონკურენტ გუნდ „დინამოზე"?**

— „დინამო" მეტოქეზე უფრო კომპაქტურად და სხარტად თამაშობდა. საერთოდ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ აქ საკმაოდ მაღალი დონეა და „დინამოც" ერთობ კარგი გუნდია. იმედია, „დინამოს" დონეზე ჩვენც მალე დავდგებით. ფეხბურთელებიდან „დინამოს" ყველა მოთამაშე მომეწონა.

**— აქ ჩამოსვლამდე რომელიმე ქართველი ფეხბურთელის გვარი თუ გსმენოდათ?**

— მხოლოდ კალაძე და ქეცბაია.

**დიეგო გონსალესი:**

**— ალბათ უკვე იცით, თუ რომელ ფორვარდთან შეგაწყვილებთ ლუის ცაკარიასი?**

— მწვრთნელი აპირებს, რომ თავდასხმაში ჯანაშია და მე გაგვამწესოს.

**— თუ რა სტილის ფორვარდია ჯანაშია, დაახლოებით ალბათ ესეც იცით. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ტანდემი?**

— ჯანაშია ჩემზე გაცილებით გამოცდილი ფეხბურთელია და მისგან ალბათ ბევრ რამეს ვისწავლი. ის ისეთი ფეხბურთელია, რომელმაც იცის, თუ რა დროს უნდა მისცეს პასი პარტნიორს.

**— თქვენ როგორი ტიპის ფორვარდი ხართ?**

— არ მომწონს წინ სულ ცენტრში დგომა. ადგილის გამოცვლა და მოძრაობა მიყვარს.

**— თუ „ლოკომოტივში" ჩემპიონი ვერ გახდებით და ვერც თასს მოიგებთ, სეზონს წარუმატებლად ჩათვლით?**

— ყოველ შემთხვევაში ხელს არ ჩავიქნევთ. ახლა თუ არა, მომდევნო სეზონში გვექნება წარმატებები.

**— ვარჯიშის მერე თბილისში დროს როგორ ატარებთ?**

— ჩვენ და ლუის ცაკარიასი ერთი ოჯახივით ვართ აქ. გარეთ ძირითადად სავახშმოდ და ინტერნეტკაფეში შესასვლელად გავდივართ.

**— პერუში როგორ ერთობიან თამაშის შემდეგ?**

**ლუის ცაკარიასი:** ფეხბურთელები საცეკვაოდ მიდიან. ეს დისკოთეკა არაა, უბრალოდ საცეკვაო დარბაზია.

**— ფეხბურთელები რა სასმელს მიირთმევენ?**

**გონსალესი:** მე ყველაფერს ვაშლის წვენი მირჩევნია.

**გალიარდო:** გააჩნია როგორი დღეა. ეს იმაზეცაა დამოკიდებული თუ ვისთან ერთად ხარ. როცა ბატონ ლუისთან ვარ, მხოლოდ ყავას მივირთმევ, თუ არადა, წვენს ან ლუდს.

**დავით თავართქილაძე**
**გია ჯაფარიძე**




# იყიდება

მუხიანში კინო-თეატრის შენობა ეზოთი.
შენობის ფართი 1000 მ², ეზო 3500 მ²

ალ. გობრონიძის ქუჩა №10

☎ 34 38 12,
899 16 08 37




მერანელები ისევ ხელფას-პრემიებს ელიან

# იქნება ათში, ვითამაშებთ თორმეტში

**ითამაშებს** თუ არა „მერანი"? 19 ოქტომბერს რუსთავში, ავჭალელთა მიერ მოწყობილი „პუტჩის" შემდეგ ფეხბურთის ფედერაციაში და „მერანის" მეტოქეთა ბანაკში ყოველი ტურის წინ ესლაა საკითხავი.

სადისციპლინო კომიტეტმა ერთხელ უკვე აშკარად დაინდო ავჭალელები. გუნდი მეთოთხმეტე ეროვნულს შემორჩა, ხოლო 27 ოქტომბერს კლუბის თავკაცმა ანზორ მამალაძემ აჯანყებულ ფეხბურთელებს გარანტია მისცა, ხელფასპრემიებს 10 ნოემბერს გაგისტუმრებთო.

მას შემდეგ ოთარ გაბელიას შეგირდებს ხმა არ გაუღიათ. კეთილსინდისიერად ვარჯიშობდნენ და თამაშობდნენ. „მერანმა" მეცამეტე ტურში „ტორპედოს" დააკარგვინა ორი ქულა, ხოლო მომდევნო ორ ტურში ორი საგარეო მატჩი წააგო „ვიტ ჯორჯიასთან" და „ბათუმთან".

ამასობაში მამალაძის მიერ დათქმული ვადა ხვალ იწურება. ფეხბურთელები არ შფოთავენ, კლუბის თავკაცის ეიმედებათ. ბატონ ანზორს აქამდე არასდროს მოუტყუებივართ, რასაც შეგპირებია, შეუსრულებია კიდეც ავჭალელები „სინათლეზე" დღესაც ივარჯიშებენ და ხვალ კუთვნილის მისაღებადაც უკლებლივ მივლენ.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რომ მოხდეს და ფული აღარ იყოს? ამის გაფიქრებაც კი არ სურთ მერანელებს. ისინი 10 ნოემბერს არ თამაშობენ, „მერანი" 12 ნოემბერს, მეთექვსმეტე ტურის ბოლო მატჩში მასპინძლობს გორის „დილას". ჰოდა, თუ კვირას ფული არ იქნა „სინათლეზე", უკმაყოფილება ახალი ძალით იფეთქებს და ერთდღიანი დავა-კამათის შემდეგ ავჭალელები სათამაშოდ არ გავლენ. ასეთია ოთარ გაბელიას შეგირდების გადაწყვეტილება.

ანზორ მამალაძისთვის დრო ჯერ კიდევ ითმენს. დათქმული დროის ამოწურვამდე სულ მცირე 24 საათია დარჩენილი. მამალაძეც შეხვედრიდან შეხვედრაზე დადის, სპონსორის პოვნის იმედიც არ ჩამქრალა, თუმც დიდად სახეირო ამბავიც რომ არაფერი ჩანს?!

მოკლედ, ხვალ გაირკვევა, ითამაშებს თუ არა „მერანი".

**გამუკა ძვანტალიანი**



გიო აბულედიანის

სვეტი

# მაკარტის ნასვლა

იმ დღეს რედაქციაში შემოიარა ერთმა კაი ჭკუის კაცმა და თქვა, მე ისე ვატყობ, ჩვენი შესარჩევი ჯგუფის ნაკრებთა მწვრთნელებიდან ციკლის ბოლომდე გუნდებს მხოლოდ ვალერი გაზაევი და ალექსანდრე ჩივაძე შერჩებიანო.

დანარჩენებს ან მოხსნიან, ან თავადვე წავლენო.

ამას რომ ამბობდა, ალბანელთა მწვრთნელი სულეიმან დემოლარი უკვე გადამდგარი იყო, ოთხშაბათ შუადღით კი მიკ მაკარტიც გამოეთხოვა ირლანდიელთა საჭეს, საკუთარ თავს სამყურათა გუნდის ორი ზედიზედი წაგება არ აპატია.

ამის მიუხედავად, არა მგონია, შვეიცარიელთა მწვრთნელი იაკობ კუნი გადადგეს, თუმცა, ეს არცაა მნიშვნელოვანი, მთავარი ისაა, რომ მწვრთნელები თავს არ პატიობენ ზედიზედ მარცხებს პრინციპულ თამაშებში.

მიკ მაკარტის ამბავი ჩვენთვის ცნობილია: ადრე ის იყო ირლანდიის ნაკრების მცველი და კაპიტანი, მაშინდელ მწვრთნელ ჯეკი ჩარლტონს ის არასოდეს შეუდარებია პასარელასთვის, თუმცა კი მოქნილი და ჭკვიანი მცველი იყო.

ამასწინათ წავიკითხე როი კინის ის სკანდალური ავტობიოგრაფია, სადაც მაკარტი ყოვლად უპრინციპო, მცირედით კმაყოფილ, ინტრიგან კაცადაა გამოყვანილი. ყველას ახსოვს მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ ორთა შორის მომხდარი ამბავი, რასაც კინის დაფიცება მოჰყვა, სანამ მაკარტი მწვრთნელია, ნაკრებში ფეხს არ დავდგამო.

რა ვთქვათ? კინის წიგნში ისეა მოთხრობილი ეს ამბავი, რომ არც მაკარტი მოგეწონება და არც ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი, მაგრამ რაც არ უნდა ოხერი და ეშმაკი კაცი იყოს ირლანდიელთა ყოფილი მწვრთნელი, მან მაინც იცის თამაშისა და ცხოვრების წესები. წააგო და წააგო. ვის არ წაუგია? ნორვეგიამ შარშან მთელი ციკლი ჩააგდო, მაგრამ ნილს იოჰან სემბს პოსტი არ მიუტოვებია, წელს კი კარგი გუნდი გააკეთა. მაკარტი მიხვდა, რომ მისი ირლანდია დამთავრდა. ალბათ ჯობდა, სამიოდ კვირის წინ „სანდერლენდის" მწვრთნელობას დათანხმებულიყო, მაგრამ ასე არ მოიქცა. ანუ, თავი კი არ დაიძვრინა, აქაოდა კლუბში მივდივარ, თორემ ნაკრებშიც შემეძლოო, არამედ ისე წავიდა, ნაკრებს ველარაფერს ვარგებო.

ეს საქციელია.

იმ შორეულ ქვეყნებში ასეა: კაცი, რაც უნდა მოუწონარ-მოსაწონარი იყოს, ნამდვილი კაცი და ნამდვილი ხასიათია. მას საქციელის, რალაც კაცურის ჩადენა შეუძლია. ეს დიდი საქმეა, მე თუ მკითხავთ. ეს ყველაფერი ნამდვილია. ცხოვრებაც ნამდვილია და თამაშიც. იქ, რა თქმა უნდა.




ნიკო კოვაჩმა და ბიქსენტ ლიზარაზუმ ერთმანეთზე გაიწიეს

# ვჩხუბობ, ესე იგი, ვცოცხლობ

**„ბაიერნში"** კრიზისია თუ არა, ანალიტიკოსებმა და სპეციალისტებმა თქვან, ჩვენ კი ფაქტი ვახსენოთ: „ბაიერნში" მუშტი-კრივია. სამშაბათს, ვარჯიშის დროს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ბიქსენტ ლიზარაზუმ ნიკო კოვაჩი სცემა.

მცემელსაც და ნაცემსაც, ჩხუბის შემდეგ გუნდის მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი ესაუბრა და ლიზარაზუს დაჯარიმება გადაწყვიტა.

„მოთმინება მან დაკარგა და ამიტომაც დავაჯარიმებ" — ბრძანა ჰიცფელდმა, მაგრამ ის აღარ უთქვამს, რომ იმ ვარჯიშზე, აქა-იქ, მანამდეც ხდებოდა ინციდენტები, თუმცა ფრანგისა და ხორვატის ბრძოლამ ყველაფერს გადააჭარბა. ჰიცფელდის ასისტენტი, მიხაელ ჰენკე ყვება, რომ მოჩხუბრები ვერაფრით გააშველა.

თურმე მიუნხენის ყველაზე ცნობილ გუნდში ატმოსფერო ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ დაძაბულა, ოღონდ ჰიცფელდი ამას ასე უყურებს:

„ეს ნიშნავს, რომ გუნდი ცოცხალია."

შაბათს, გალიზიანებული „ბაიერნი" დორტმუნდის „ბორუსიას" მასპინძლობს. დორტმუნდელები ცხრილში მეორე ადგილზე არიან და ლიდერს, „ბაიერნს" სამი ქულით ჩამორჩებიან.

**ბაჩუნა ძიდია**

# გთხოვთ, თავი მიცვალებულად ჩათვალოთ

## დენის უაიზმა მუქარის წერილები მიიღო

**დენის უაიზს** მუქარის წერილები მიუვიდა, მოგკლავთო, რის გამოც ინგლისის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველის ახლანდელ გუნდს, „მილუოლს" მისთვის პირადი მცველების დაქირავება მოუხდა.

პირველი დივიზიონის კლუბმა გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ მუქარის წერილები პოლიციას გადაუგზავნა, ხოლო უაიზს პირადი მცველები უკვე დარაჯობენ. გაზეთი „სანი" დარწმუნებულია, რომ ფეხბურთელს ყოფილი გუნდის, „ლესტერ სიტის" ქომაგები ემუქრებიან. როგორც ჩანს, ისინი ვერ შეგუებიან აგვისტოში მომხდარ ამბავს, როდესაც უაიზმა „ლესტერი" ჩხუბით დატოვა და თან, სასამართლოს ძალით 3,61 მილიონი დოლარიც მოითხოვა.

„სანი" ამტკიცებს, რომ ერთ-ერთ წერილში ნახევარმცველს საჭმელში საწამლავის გარევით ემუქრებიან, მეორეში ტყვიის დახლით, ხოლო მესამეში უბრალოდ სთავაზობენ, თავი მიცვალებულად ჩათვალოს, ერთი სიტყვით, მოკვლის მეთოდს არ აზუსტებენ. მაგრამ სამივე წერილს ერთი რამ, „ლესტერ სიტი" აერთიანებს.

კერძოდ, ისინი, ვინც საწამლავებში ერკვევიან, უაიზს იმ შემთხვევაში დაინდობენ თუ „ლესტერის" წინააღმდეგ ჩივილს თავს დაანებებს; ისინი, ვინც თავს სნაიპერობაზე დებენ, მკვლელობას მაშინ ჩაიდენენ თუ ფეხბურთელს მათ ქალაქში მოკრავენ თვალს; ხოლო მესამენი, პირველთა მსგავსად, სასამართლოზე ამახვილებენ ყურადღებას.

„მილუოლის" და „ლესტერის" შეხვედრები 16 ნოემბერს მილუოლში, ხოლო 14 დეკემბერს ლესტერში გაიმართება.



დენის უაიზი სულ შარშია: იგივე ამბავს პატრიკ ვიეირას შუბლი დასცხო

„მილუოლის" თავმჯდომარე (რაც ინგლისურიდან ევროპულად თუ გადავთარგმნით პრეზიდენტს ნიშნავს) თეო პაპიტისმა „სკაი სპორტის" ეკრანიდან განაცხადა, რომ ნორმალურმა ადამიანმა მუქარას არ უნდა წაუყრუოს:

„დენისს საკმაოდ სერიოზულად დაემუქრნენ, რის გამოც მცველები მარტო მას კი არა, სხვა მოთამაშეებსაც უნდა დავუქირავოთ."

**ბაჩუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პალმეირასის გადასაბირებლად

### ბრაზილია

**გადადებული მატჩები:** ატლეტიკო პარანენსე — პაშანდუ 2:1; ფიგეირენსე — გრემიო 0:2; ფლუმინენსე — პალმეირასი 0:3; სან პაულუ — ვასკუ და გამა 5:3; ვიტორია — გუარანი 3:1; გამა — კრუზეირო 2:3; სან კაეტანო — ინტერნასიონალი 1:1; პარანა — ბოტაფოგო 2:0; ატლეტიკო მინეირო — კურიტიბა 3:1; კორინთიანსი — პორტუგეზა 5:2.

**მოცოცავს**, მოცოცავს, „პალმეირასი" მოცოცავს. გავარდნის პირად მყოფმა სახელოვანმა კლუბმა 3:0 მოუგო რომარიოს „ფლუმინენსეს", რომელიც სანუკვარი პლეი ოფის კართან დგას.

„ფლუმ" ტრავმირებული რომარიოს გარეშე მოიგო წინა ორი თამაში, მაგრამ ამ ჯერზე საშინლად დამარცხდა. გამარჯვებულთაგან გოლები ძველმა მსოფლიოს ჩემპიონმა ზინიომ, ფლავიომ და კიდევ ერთმა ჟუნინიომ გაიტანეს, რომარიო კი ისე შეცვალეს, ბურთს ხეირიანად არც მიკარებია. ამ მოგებით „პალმეირასი" 26-გუნდა ცხრილის მეოცე ადგილზე აცოცდა და სათამაშო ორი ტური და დარჩა. ლიგიდან ბოლო ოთხი გუნდი ვარდება, პირველი რვა კი პლეი ოფით აგრძელებს ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

ასევე ცხრილის ბოლოში მყოფმა „ვასკუ და გამამ" ნამდვილი ბრძოლა გაუმართა ლიდერ „სან პაულოს". ბოლო ხუთ წელიწადში ორგზის ჩემპიონი „ვასკუ" 2:0-საც უგებდა პაულისტებს და 3:2-საც, მაგრამ ჯამში 3:5 წააგო. რალა თქმა უნდა, ლუიშ ფაბიანუს პეთ თრიქის წყალობით. ამ პეთ თრიქმა ლუიშ ფაბიანუ ჩემპიონატის მთავარ-მეგოლეთა სათავეში მოაქცია. სან პაულელმა ერთი გოლით გადაუსწრო გრემიოელ როდრიგუ ფაბრის. ამ ტურში როდრიგუმაც გაიტანა, ოღონდ ერთი. „გრემიომ" 2:0 მოუგო „ფიგეირენსეს" და საპლეიოფო ამბავში უფრო იმედიანად ჩამოდგა მეექვსე ადგილზე.

**ილარიო ლარსა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 23 | 14 | 4 | 5 | 53:33 | 46 |
| სან კაეტანო | 23 | 13 | 4 | 6 | 37:24 | 43 |
| კორინთიანსი | 22 | 12 | 5 | 5 | 35:32 | 41 |
| სანტოსი | 23 | 11 | 6 | 6 | 43:30 | 39 |
| ატლ. მინეირო | 22 | 11 | 4 | 7 | 42:35 | 37 |
| ჟუვენტუდე | 22 | 11 | 4 | 7 | 31:24 | 37 |
| გრემიო | 22 | 10 | 6 | 6 | 35:26 | 36 |
| ვიტორია | 22 | 10 | 4 | 8 | 39:32 | 34 |
| ფლუმინენსე | 22 | 10 | 4 | 8 | 36:41 | 34 |
| კურიტიბა | 22 | 10 | 3 | 9 | 31:28 | 33 |
| გოიასი | 23 | 9 | 6 | 8 | 39:36 | 33 |
| პონტე პრეტა | 22 | 9 | 4 | 9 | 30:28 | 31 |
| ატლ. პარანენსე | 23 | 8 | 7 | 8 | 34:29 | 31 |
| კრუზეირო | 22 | 8 | 6 | 8 | 33:38 | 30 |
| გუარანი | 22 | 8 | 4 | 10 | 27:32 | 28 |
| ფიგუერენსე | 23 | 8 | 3 | 12 | 30:40 | 27 |
| პორტუგეზა | 22 | 7 | 6 | 9 | 23:32 | 27 |
| პარანა | 22 | 8 | 2 | 12 | 34:37 | 26 |
| ვასკუ და გამა | 22 | 8 | 2 | 12 | 30:36 | 26 |
| ინტერნასიონალი | 22 | 6 | 8 | 8 | 32:33 | 26 |
| პალმეირასი | 23 | 6 | 8 | 9 | 33:41 | 26 |
| პაშანდუ | 22 | 8 | 1 | 13 | 32:42 | 25 |
| ფლამენგო | 22 | 7 | 4 | 11 | 33:35 | 25 |
| ბაია | 22 | 7 | 4 | 11 | 30:34 | 25 |
| გამა | 23 | 6 | 4 | 13 | 22:33 | 22 |
| ბოტაფოგო | 22 | 5 | 7 | 10 | 22:35 | 22 |

### პოლონეთი

XIII ტური

**ოსტროვიეცი 2:1 პოლონია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 12 | 7 | 3 | 2 | 31:14 | 24 |
| ლეგია | 12 | 6 | 6 | 0 | 21:11 | 24 |
| ოდრა | 12 | 7 | 3 | 2 | 19:14 | 24 |
| კატოვიცე | 12 | 7 | 2 | 3 | 15:8 | 23 |
| გროცლინი | 12 | 6 | 4 | 2 | 22:16 | 22 |
| ამიცა | 12 | 4 | 5 | 3 | 15:12 | 17 |
| გურნიკი | 12 | 4 | 4 | 4 | 18:15 | 16 |
| პლოცკი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:14 | 16 |
| პოლონია | 13 | 4 | 3 | 6 | 16:23 | 15 |
| ოსტროვიეცი | 13 | 4 | 2 | 7 | 15:25 | 14 |
| გარბანია | 12 | 3 | 4 | 5 | 21:24 | 13 |
| რუხი | 12 | 3 | 4 | 5 | 11:20 | 13 |
| ზაგლებე | 12 | 3 | 3 | 6 | 14:13 | 12 |
| ვიძევი | 12 | 2 | 5 | 5 | 11:15 | 11 |
| ლეხი | 12 | 1 | 7 | 4 | 10:14 | 10 |
| პოგონი | 12 | 1 | 3 | 8 | 10:26 | 6 |

### შოტლანდია

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

**დანფერმლაინი 0:1 რეინჯერსი**

0:1 კანიჯა (79)

რეინჯერსი: კლოსი, მორის როსი, მალკოლმი, კონტერმანი, ნუმანი, რიკსენი, ს. თომპსონი (მ. არველაძე 56), ბ. ფერგიუსონი, არტეტა, მოლსი (კანიჯა 70), ლოვენკრანდსი

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

8 416 მაყურებელი

1/2 ფინალის წილისყრა

სელტიკი — ლივინგსტონი ან დანდი იუნაიტედი; აბერდინი ან ჰარტსი — რეინჯერსი

მატჩები გაიმართება 2003 წლის 4-5 თებერვალს


სპეციალიზირებული სალონ-მაღაზია

ბილიარდის მაგიდები რუსული პირამიდა, პულა, სნუკერი

აქსესუარები

1000 მეტი დასახელება

კიები, ბურთები, ნათურები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისაგან, ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია




☎ 95-57-75, 95-88-46

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2


### საფრანგეთი

I დივიზიონი. XIV ტური

**აიაჩო 1:0 ოსერი**

1:0 რიგრაგი (89)

**ლე ავრი 1:2 ლიონი**

0:1 კარიერი (9), 1:1 ლე ტალეკი (69), 1:2 კასამა (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 14 | 7 | 4 | 3 | 27:16 | 25 |
| ოსერი | 14 | 7 | 3 | 4 | 18:14 | 24 |
| პსჟ | 13 | 6 | 5 | 2 | 22:11 | 23 |
| ნიცა | 13 | 6 | 5 | 2 | 18:7 | 23 |
| მარსელი | 13 | 7 | 2 | 4 | 16:15 | 23 |
| სოშო | 13 | 6 | 4 | 3 | 16:10 | 22 |
| ლანსი | 13 | 5 | 6 | 2 | 13:8 | 21 |
| მონაკო | 13 | 5 | 5 | 3 | 19:13 | 20 |
| სტრასბური | 13 | 5 | 4 | 4 | 17:21 | 19 |
| გენგამი | 13 | 5 | 3 | 5 | 18:18 | 18 |
| ბორდო | 13 | 4 | 5 | 4 | 13:12 | 17 |
| ლილი | 13 | 4 | 5 | 4 | 11:13 | 17 |
| ბასტია | 13 | 5 | 2 | 6 | 14:17 | 17 |
| აიაჩო | 14 | 4 | 5 | 5 | 10:13 | 17 |
| სედანი | 13 | 4 | 4 | 5 | 17:20 | 16 |
| ნანტი | 13 | 3 | 4 | 6 | 11:16 | 13 |
| ლე ავრი | 14 | 2 | 6 | 6 | 11:20 | 12 |
| მონპელიე | 13 | 2 | 4 | 7 | 9:17 | 10 |
| რენი | 13 | 2 | 3 | 8 | 9:18 | 9 |
| ტრუა | 13 | 1 | 5 | 7 | 8:18 | 8 |

### იტალია

სერია B

I გადადებული ტური

**სამპდორია 2:0 ლივორნო**

1:0 ფლაკო (43პ), 2:0 ვალტოლინა (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალიარი | 9 | 5 | 3 | 1 | 10:6 | 18 |
| სამპდორია | 9 | 4 | 5 | 0 | 13:7 | 17 |
| ტერნანა | 9 | 5 | 2 | 2 | 10:6 | 17 |
| პალერმო | 9 | 5 | 1 | 3 | 13:12 | 16 |
| ანკონა | 9 | 3 | 6 | 0 | 13:8 | 15 |
| ლივორნო | 9 | 5 | 0 | 4 | 10:7 | 15 |
| ლეჩე | 9 | 3 | 5 | 1 | 12:9 | 14 |
| სიენა | 9 | 3 | 5 | 1 | 6:4 | 14 |
| ტრიესტინა | 9 | 3 | 4 | 2 | 11:8 | 13 |
| ასკოლი | 9 | 3 | 3 | 3 | 7:7 | 12 |
| ბარი | 9 | 2 | 5 | 2 | 7:5 | 11 |
| ნაპოლი | 9 | 2 | 4 | 3 | 13:13 | 10 |
| კოზენცა | 9 | 3 | 1 | 5 | 7:10 | 10 |
| ვერონა | 9 | 2 | 3 | 4 | 12:12 | 9 |
| ჯენოა | 9 | 2 | 3 | 4 | 7:8 | 9 |
| ვენეცია | 9 | 2 | 3 | 4 | 7:11 | 9 |
| კატანია | 9 | 2 | 3 | 4 | 9:16 | 9 |
| მესინა | 9 | 2 | 2 | 5 | 10:13 | 8 |
| ვიჩენცა | 9 | 1 | 4 | 4 | 11:17 | 7 |
| სალერნიტანა | 9 | 2 | 0 | 7 | 8:17 | 6 |

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა კლუბთა რეიტინგი და ბომბარდირთა სია პირველი ნოემბრის მდგომარეობით.

ბომბარდირთა ჩამონათვალში დაანგარიშებულია მხოლოდ 2000 წელს სანაკრებო და საერთაშორისო საკლუბო მატჩებში გატანილი გოლები



მიროსლავ კლოზე

## კლუბების რეიტინგი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | (1) | რეალი | მადრიდი, ესპანეთი | 328 |
| 2 | (4) | მანჩესტერი | ინგლისი | 283 |
| 3 | (3) | არსენალი | ლონდონი, ინგლისი | 275 |
| 4 | (8) | მილანი | იტალია | 259 |
| 5 | (2) | ბაიერნი | მიუნხენი, გერმანია | 249 |
| 6 | (5) | ბარსელონა | ესპანეთი | 248 |
| 7 | (6) | დეპორტივო | ლა კორუნია, ესპანეთი | 247 |
| 8 | (10) | ლევერკუზენი | გერმანია | 245 |
| 9 | (9) | იუვენტუსი | ტურინი, იტალია | 238 |
| 10 | (11) | ამერიკა | მეხიკო, მექსიკა | 229,5 |
| 11 | (7) | ფეიენოორდი | როტერდამი, ჰოლანდია | 228 |
| 12 | (15) | ინტერი | მილანი, იტალია | 224 |
| 12 | (14) | დორტმუნდი | გერმანია | 224 |
| 14 | (22) | ვალენსია | ესპანეთი | 219 |
| 15 | (12) | სპარტა | პრაღა, ჩეხეთი | 217 |
| 16 | (17) | აეკ | ათენი, საბერძნეთი | 216 |
| 17 | (13) | ლივერპული | ინგლისი | 215 |
| 18 | (16) | ბრიუგე | ბელგია | 212 |
| 19 | (24) | პარმა | იტალია | 206 |
| 20 | (18) | რეინჯერსი | გლაზგო, შოტლანდია | 205,5 |
| 21 | (19) | სელტიკი | გლაზგო, შოტლანდია | 205 |
| 22 | (31) | შალკე | გელზენკირხენი, გერმანია | 198 |
| 22 | (20) | ბოკა ხუნიორსი | ბუენოს აირესი, არგენტინა | 198 |
| 24 | (25) | რომა | რომი, იტალია | 196 |
| 25 | (22) | ატლეტიკო მორელია | მექსიკა | 195,5 |

## ბომბარდირები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | მიროსლავ კლოზე | გერმანია | კაიზერსლაუტერნი | 12 (12, 0) |
| 2 | იონ დალ ტომასონი | დანია | ფეიენოორდი, მილანი | 11 (9, 2) |
| 3 | ალესანდრო ფერნანდესი | ბრაზილია | მორელია | 11 (0, 11) |
| 3 | ფილიპო ინძაგი | იტალია | მილანი | 11 (0, 11) |
| 5 | მიხაელ ბალაკი | გერმანია | ლევერკუზენი, ბაიერნი | 10 (6, 4) |
| 5 | რაული | ესპანეთი | რეალი | 10 (6, 4) |
| 7 | იან კოლერი | ჩეხეთი | დორტმუნდი | 10 (5, 5) |
| 8 | რიჩარდ მორალესი | ურუგვაი | ნასიონალი | 10 (3, 7) |
| 9 | ოლე გუნარ სოლსკიაერი | ნორვეგია | მანჩესტერი | 10 (2, 8) |
| 10 | როდრიგო მენდესი | ბრაზილია | გრემიო | 10 (0, 10) |
| 11 | რონალდო | ბრაზილია | ინტერი, რეალი | 9 (9, 0) |
| 11 | იორის პიპკე | ახალი კალედონია | მონტ დორე | 9 (9, 0) |
| 13 | მაიკლ ოუენი | ინგლისი | ლივერპული | 9 (6, 3) |
| 14 | ჰაკან იაკინი | შვეიცარია | ბაზელი | 9 (5, 4) |
| 15 | გუტი | ესპანეთი | რეალი | 9 (1, 8) |
| 16 | პიერ ვან ჰოიდონკი | ჰოლანდია | ფეიენოორდი | 9 (0, 9) |
| 17 | ჯულიუს აგაოვა | ნიგერია | შახტარი | 8 (7, 1) |
| 18 | ალესანდრო დელ პიერო | იტალია | იუვენტუსი | 8 (5, 3) |
| 19 | ახმედ ბილალი | ეგვიპტე | ნაციონალი | 8 (3, 5) |
| 19 | ჰენრიკ ლარსონი | შვედეთი | სელტიკი | 8 (3, 5) |
| 21 | როი მაკაი | ჰოლანდია | დეპორტივო | 8 (2, 6) |
| 22 | რუუდ ვან ნისტელროი | ჰოლანდია | მანჩესტერი | 8 (0, 8) |
| 22 | ხოსე ნორიეგა | მექსიკა | მორელია | 8 (0, 8) |
| 24 | რიკი ჩარლზი | გრენადა | კპრ | 7 (7, 0) |
| 24 | კლინტ მატისი | აშშ | მეტროსტარზი | 7 (7, 0) |

# მეინ როუდი დერბიზე მიგვიყვანს? უკანასკნელად!

**დღეს** მანჩესტერული დერბია, ინგლისის ჩრდილოეთის მობინადრე ორი სახელოვანი კლუბი დაუპირისპირდება ერთმანეთს — „მანჩესტერ სიტი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“, თუმცა „სიტის“ სახელოვნება წარსულ დროში უნდა მოვიხსენიოთ. რა მნიშვნელობა აქვს, ამ ორი გუნდის ჯახი ყოველთვის დიდი ამბავი იყო და დღესაც ასე იქნება.

დერბი უკანასკნელად გაიმართება „სიტის“ კუთვნილ „მეინ როუდზე“. სეზონის დამთავრებისთანავე კლუბი მშობლიურ სარბიელს დატოვებს და „სიტი სთედიუმზე“ გადაბარგდება.

„მანჩესტერ სიტის“ ახალი სამოსახლო თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი და სრულად აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

ასეთივე იყო „მეიენ როუდიც“ — რა თქმა უნდა, თავისი დროების შესაბამისად, როდესაც 80 წლის წინ პირველ შეხვედრას უმასპინძლა.

„მეინ როუდთან“ შესისხლხორცებულია „მანჩესტერ სიტისა“ და არა მარტო მისი არსებობის ხანგრძლივი ისტორია. კლუბი არსებობის 36 წელს ითვლიდა, როდესაც 1923 წელს „მეინ როუდზე“ გადავიდა. იმ დროისთვის ეს ნაგებობა უდიდესი იყო მთელს ინგლისში და მას „ჩრდილოეთის უემბლდონად“ მოიხსენიებდნენ.

მართალია, „მეინ როუდი“ არცთუ ისე მაღალი ნაგებობაა და ინგლისისთვის ესოდენ დამახასიათებელი ნესტით სუნითაა გაჟღენთილი, მაგრამ ეს ყველაფერი საოცარ ატმოსფეროს ქმნის როგორც მოთამაშეებისთვის, ასევე გულშემატკივართათვის და გამარჯვების ჟინსა და სურვილს ამძაფრებს. განსაკუთრებით 60-იან წლებში იყო ასე როდესაც „სიტის“ საუკეთესო დღეები ედგა.

„მეინ როუდთან“ დაკავშირებულია მაყურებელთა დასწრების რეკორდებიც. ამ სტადიონზე გამართულ პირველ შეხვედრას „სიტისა“ და „შეფილდ იუნაიტედს“ შორის 60 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1934 წელს დაფიქსირდა, ინგლისის ასოციაციის თასის მე-6 წრეში, „სიტი“ — „სტოკის“ შეხვედრაზე 84 569 ბილეთი გაიყიდა (თუმცა ზოგი შეიძლება უბილეთოდაც შეიპარა).

გასაოცარია, მაგრამ „სიტის“ მოგუგუნე ფანებს სადმე მოედნის სიახლოვეს კი არ უყვარდათ ჯდომა, არამედ უზარმაზარ ტერასა „კიპნექსზე“. „მეინ როუდი“ „კიპნექსის“ გარეშე ვერავის წარმოედგინა, თუმც 1989 წლის ჰილსბორის ტრაგედიის შემდეგ „კიპნექსი“ მხოლოდ სახელად დარჩა, მან მთლიანად დაკარგა პირვანდელი სახე.

დღეისთვის „მეინ როუდი“ 34,026 გულშემატკივარს იტევს, რაც „ოლდ ტრეფორდის“ ნახევარს შეადგენს. ეს გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ „მანჩესტერ სიტი“ ახალი თავშესაფრის ძიებას შეუდგა მეტი შემოსავლის მისაღებად. სტადიონის მემკვიდრეობაზე რამდენიმე პატარა მანჩესტერული კლუბი აცხადებს პრეტენზიას, თუმცა „მეინ როუდი“ შეიძლება არც არავის დარჩეს და მისი სამხრეთელი მეზობლის „უემბლის“ მსგავსად დაინგრეს.

დავუბრუნდეთ შაბათის შეხვედრას. „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ უცხო ნამდვილად არ იქნება „მეინ როუდზე“ ბურთის გორება. მართალია, ახლანდელ თაობას საიდან ეხსომება, მაგრამ ეს სტადიონი „იუნაიტედის“ სახლადაც ითვლებოდა 1941-1949 წლებში, როცა „ოლდ ტრეფორდის“ რესტავრაცია მიმდინარეობდა გერმანელების დაბომბვის შემდეგ.

**მიჩ ფილიპსი როიტერი**

**P.S** ქართველებს სიამაყით შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ მანჩესტერულ დერბიში სიტელ მიხეილ ყაველაშვილს „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ გოლი გაუტანია.



მანჩესტერული დერბისას „მეინ როუდზე“ დერეფანში გიორგი ქინქლაძეც (მარცხნივ) ჩამდგარა



## იტალია

პაპუნა კედია



ფილიპო ინძაგიმ რაც „იუვენტუსის“ სამოსი გაიხადა, ტურინელი ქომაგები მასზე საცემრად თუ გაიწევენ

# ანჩელოტის იმიჯი
## მილანის სურვილი და შესაძლებლობა

| IX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ინტერი | - | უდინეზე |
| პიაჩენცა | - | რომა |
| **ხვალ** | | |
| ბოლონია | - | კომო |
| ბრეშა | - | ემპოლი |
| კიევო | - | ატალანტა |
| იუვენტუსი | - | მილანი |
| ლაციო | - | პარმა |
| პერუჯა | - | ტორინო |
| რეჯინა | - | მოდენა |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 8 | 7 | 1 | 0 | 18:7 | 22 |
| მილანი | 8 | 6 | 1 | 1 | 22:5 | 19 |
| იუვენტუსი | 8 | 5 | 3 | 0 | 12:4 | 18 |
| ლაციო | 8 | 5 | 2 | 1 | 15:7 | 17 |
| კიევო | 8 | 5 | 0 | 3 | 14:9 | 15 |
| რომა | 8 | 4 | 2 | 2 | 18:13 | 14 |
| პარმა | 8 | 3 | 3 | 2 | 14:12 | 12 |
| ბოლონია | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 12 |
| მოდენა | 8 | 4 | 0 | 4 | 9:12 | 12 |
| ემპოლი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:13 | 10 |
| ბრეშა | 8 | 2 | 2 | 4 | 13:16 | 8 |
| უდინეზე | 8 | 2 | 2 | 4 | 4:9 | 8 |
| პერუჯა | 8 | 2 | 2 | 4 | 9:16 | 8 |
| პიაჩენცა | 8 | 2 | 1 | 5 | 7:12 | 7 |
| ტორინო | 8 | 2 | 0 | 6 | 5:15 | 6 |
| რეჯინა | 8 | 1 | 2 | 5 | 6:14 | 5 |
| კომო | 8 | 0 | 4 | 4 | 5:12 | 4 |
| ატალანტა | 8 | 1 | 1 | 6 | 7:16 | 4 |

**ხვალ** „იუვენტუსი“ — „მილანია“. ეს იმას ნიშნავს, რომ კარლო ანჩელოტი „დელე ალპიზე“ ბრუნდება, ოღონდ მეტოქის რანგში. გახსოვთ ის ორი წელიწადი, ანჩელოტიმ „ბებერი ქალბატონის“ თავკაცად რომ გაატარა? ორი წელიწადი და ორი მეორე ადგილი, ძლიერი, მაგრამ უნაპერწკლო გუნდი, საბოლოოდ კი დაცვაზე გაგიჟებული სპეციალისტის იმიჯი.

დღეს „მილანში“ ანჩელოტის იმიჯი გამოეცვალა. მისი „შავ-წითლები“ უტევენ და მეტოქეს ამარცხებენ. ხვალინდელ დაპირისპირებას კიდევ ისიც ამძაფრებს, რომ „იუვენტუსი“ მესამე ადგილზეა, „მილანი“ — მეორეზე. ერთი სიტყვით, გინდა ერთ, გინდა მეორე მხარეს მოტივაცია არ აკლია.

ცნობისთვის: ბოლო სამი სეზონია, „იუვენტუსი“ „დელე ალპიზე“ „მილანს“ ამარცხებს.

კარლო ანჩელოტი: „ჩვენ ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც გვეხერხება. თუ ჩვენებურად ავაწყობთ, გამარჯვების შანსი ურიგო არ გვექნება.“

„დელე ალპიზე“ ბრუნდება „იუვეს“ ყოფილი და „მილანის“ ახლანდელი თავდამსხმელი ფილიპო ინძაგიც, რომელსაც მხარში რუი კოშტა და რივალდო ამოუდგებიან.

„ტურინში მოსაგებად ჩავდივართ იმიტომ, რომ ასეთია ჩვენი სურვილი და კიდევ იმიტომ, რომ ჩვენ ეს შეგვიძლია“ — თქვა ფორვარდმა.

მილანელთა ბრაზილიელი მეკარე დიდა მუხლნატკენი გახლავთ, ასე რომ, ანჩელოტის გუნდის კარში ისევ კრისტიან აბიატის ვიხილავთ. და ანდრეი შევჩენკო? ის თავიდან სკამზე იჯდება.

ხოლო ჯერაც დაუმარცხებელ „იუვენტუსს“ კვლავ არ ეყოლებიან იგორ ტუდორი და პაოლო მონტერო, ასე რომ, დაცვის შუაგულში ისევ ჩირო ფერარას და მარკ იულიანოს დუეტს უნდა ველოდოთ.

ახლა კი, უკაცრავად და, თქვენს ყურადღებას „რეჯინას“ მივაპყრობთ. მიზეზი: მას ახალი მწვრთნელი ჰყავს — ლუიჯი დე კანიო, „ნაპოლის“ ყოფილი თავკაცი, ორიოდ დღის წინ მოხსნილი ბორტოლო მუტის ნაცვლად დანიშნული.

„ადრე თუ გვიან „რეჯინაში“ უნდა მივსულიყავი. ეს აქამდეც უნდა მომხდარიყო. მართალია, დიდი ომი გველის, მაგრამ, მერწმუნეთ, გუნდი არ ჩაიძირება. დღეიდან ჩვენ მუხლჩაუხრელ შრომას ვიწყებთ“ — თქვა დე კანიომ.

ხვალ „რეჯინა“ „მოდენას“ მასპინძლობს, თან მასპინძელთა შორის კვლავ გამოჩნდებიან დავიდე დი მიკელე და არგენტინელი რიკარდო ვერონი.

„მოდენა“ კი, მოგეხსენებათ, ახალაღზევებულ იტალიურ კლუბთა შორის ყველაზე ყოჩაღია.

ლიდერი „ინტერი“, რომელსაც დიდი იმედი აქვს, რომ „იუვენტუსისა“ და „მილანის“ შეხვედრა ფრედ დასრულდება, „უდინეზეს“ მასპინძლობს.

„ლაციო“ — „პარმა“ შესაძლოა, უხვგოლიანი გამოდგეს. „პარმას“ ადრიანო უბრუნდება, ხოლო „ლაციოს“ ენრიკო კიეზა კვლავ ფორმაში ჰყავს, თუმცა, მცველი იაპ სტამი რომაელებს ვერ დაეხმარება.

„რომას“ კი სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში, აეკ-თან ისეთი ფიცხელი თამაში ელის, რომ პიაჩენცაში შესაძლოა უძლიერესი შემადგენლობით არც ჩავიდეს.

## ინგლისი

დავით თავართქილაძე

# ცეცხლსა და სისხლში
## ყველამ თავის ყბას მიხედოს

**მანჩესტერში** დღეს დერბია — ეს უძველესი და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ინგლისში.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ ქვეყნის ჩემპიონატის მატჩებში 49-ჯერ ჰყავს დამარცხებული „სიტი“, მაგრამ უმეტესობა გამარჯვებებისა ცეცხლსა და სისხლშია გამოტარებული.

„სიტის“ კი ცამეტი წელია, რაც არ მოუგია მრისხანე თანაქალაქელებისთვის — 1985 წელს სიტელებმა ეს დიდებულად მოახერხეს და 5:1 ამოჰკრეს „იუნაიტედს“.

ვინძლო „მეინ როუდზე“ ეს ბოლო მანჩესტერული დერბია, რადგან მომავალი სეზონიდან „მანჩესტერ სიტი“ საშინაო მატჩებს ახალ არენაზე ითამაშებს.

სიტელებს დღეს დაცვაში იმდაც გაუჭირდებათ, რომ ტერფმტკივან მცველ სტივ ჰაუის თამაში სათუოა.

სერ ალექს ფერგიუსონის ბანაკში კი ასეთი ამბებია — ნიკი ბათს კოჭი აწუხებს, როი კინს თეძო, ხოლო დევიდ ბექჰემი სულაც დისკვალიფიცირებულია — ეს სამეული, ცხადია, დიდი დანაკლისია „იუნაიტედისთვის“, განსაკუთრებულად მანჩესტერული დერბისას.

| XIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მანჩესტერ სიტი | — | მანჩესტერი |
| არსენალი | — | ნიუკასლი |
| ასტონ ვილა | — | ფულემი |
| ბოლტონი | — | ვესტ ბრომვიჩი |
| ჩელსი | — | ბირმინგემი |
| ევერტონი | — | ჩარლტონი |
| მიდლსბრო | — | ლივერპული |
| საუთჰემპტონი | — | ბლექბერნი |
| **ხვალ** | | |
| ვესტ ჰემი | — | ლიდსი |
| სანდერლენდი | — | ტოტენჰემი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 12 | 9 | 3 | 0 | 24:9 | 30 |
| არსენალი | 12 | 8 | 2 | 2 | 27:13 | 26 |
| მანჩესტერი | 12 | 6 | 4 | 2 | 16:9 | 22 |
| ჩელსი | 12 | 5 | 5 | 2 | 20:12 | 20 |
| ტოტენჰემი | 12 | 6 | 2 | 4 | 17:16 | 20 |
| ევერტონი | 12 | 6 | 2 | 4 | 15:15 | 20 |
| ბლექბერნი | 12 | 5 | 4 | 3 | 18:13 | 19 |
| ნიუკასლი | 11 | 6 | 1 | 4 | 18:15 | 19 |
| მიდლსბრო | 12 | 5 | 3 | 4 | 15:10 | 18 |
| საუთჰემპტონი | 12 | 4 | 4 | 4 | 12:12 | 16 |
| ფულემი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:15 | 15 |
| ბირმინგემი | 12 | 4 | 3 | 5 | 14:15 | 15 |
| ლიდსი | 12 | 4 | 2 | 6 | 13:13 | 14 |
| სიტი | 12 | 4 | 2 | 6 | 11:18 | 14 |
| ასტონ ვილა | 12 | 3 | 3 | 6 | 7:11 | 12 |
| ჩარლტონი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:17 | 11 |
| ვესტ ჰემი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:19 | 11 |
| სანდერლენდი | 12 | 2 | 4 | 6 | 6:16 | 10 |
| ვესტ ბრომვიჩი | 12 | 3 | 1 | 8 | 9:20 | 10 |
| ბოლტონი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:21 | 8 |

ძალიან მძიმე გამოცდა ელის ბოლო დროს დაუძლურებულ ლონდონის „არსენალს“ — პრემიერლიგის ბოლო სამი მატჩიდან „მეთოფეებმა“ ორი წააგეს.

არსენ ვენგერის გუნდი ლიგის თასიდანაც კი გავარდა ამ კვირაში, თუმცა მწვრთნელმა „სანდერლენდის“ წინააღმდეგ ფაქტობრივად სარეზერვო გუნდი გაიყვანა. ლონდონელთა სანდერლენდური შემადგენლობიდან დღეს შესაძლოა რობერ პირესმა და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა ითამაშონ.

ვერაფრით შეეშველება „არსენალს“ მარტინ კიოუნი — ამ მცველმა ორთავა კუნთი იმკურნალა და მისი მინდორზე გასვლა ჯერაც ადრეა.

„მეთოფეთა“ მეტოქე „კაჭკაჭებს“ კი სერიოზული დანაკარგები აქვთ. ნიუკასლელთა ფრანგ მარჯვენაფლანგელ ლორენ რობერს ევერტონელებმა ლიგის თასის მატჩში ყბა მოუნგრიეს და დღეს ვერ ითამაშებს.

„ჰაიბერიზე“ ვერ გავა „კაჭკაჭთა“ შემტევი კრეიგ ბელამი — სრულიად უელსის გმირს, ვინაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში გამარჯვების გოლი გაუტანა იტალიის ნაკრებს, მუხლი სტკივა.

ლიდერი „ლივერპული“ რივერსაიდზე სტუმრობს. მერსისაიდელთაგან სრულიად ჯანმრთელნი ვერ არიან მაიკლ ოუენი და მცველი ჯეიმი კარაგერი, თუმცა ორივე მათგანი ალბათ მაინც ითამაშებს.

„ბოროებს“ ტრავმირებული მცველი რობი სტოკდეილი არ ეყოლებათ, ხოლო გრიპშეყრილი ალენ ბოკშიჩი ან გავა მინდორზე ან არა.

მეოთხეადგილოსან „ჩელსიზე“ იმას გეტყვით, რომ კლაუდიო რანიერი თავდასხმაში ეიდურ გუდიონსონსა და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს გაამწესებს, რომლებმაც შესაბამისად კოჭისა და საზარდულის ტკივილის გამო გამოტოვეს ლიგის თასის მატჩი „ჯილინგემთან“.

„არისტოკრატთა“ დღევანდელ მეტოქე „ბირმინგემს“ ალბათ ორი ტრავმირებული მცველი მოაკლდება — დარენ პურსი და მეტ სედლერი.

გლენ ჰოდლის „ტოტენჰემი“ აუტსაიდერ „სანდერლენდს“ მიაკითხავს.

„დეზებმა“ ლიგის თასზე ოთხი ფეხბურთელი დაასვენეს— დონ რიჩარდსი, შტეფან ფრონდი, ჯეიმი რედნაპი და ტედი შერინგემი, რომლებიც დღეს გავლენ ბრძოლის ველზე, ხოლო ლეს ფერდინანდმა და მეტიუ ეტერნგტინმა სწორედ ლიგის თასზე აიკიდეს ტრავმები.

მაგარ ჯახს გვპირდება „ვესტ ჰემ“ — „ლიდსის“ წყვილი.

„ჩაქუჩებს“ ამ სეზონში შინ ჯერაც არ მოუგიათ. მათ გიემაჟი იტალიელი პაოლო დი კანიო გამოუჯანმრთელდათ. საეჭვოა კიდევ ერთი შემტევის ფრედერიკ კანოს თამაში, ხოლო ინგლისის ნაკრების წევრი ტრევორ სინკლერი დამცავი ნიღბით თუ გავა მინდორზე — მას ყვირიმალი აქვს გაბზარული.

გაწამაწიაშია „ლიდსიც“. იორკშირელებს შუასექტემბერს აქეთ არ მოუგიათ. გუნდს მცველი ჯონათან ვუდგეიტი და შუახაზელი ერიკ ბაკე დაუბრუნდათ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ. ოღონდ ეგაა, ფორვარდი ალან სმიტი დისკვალიფიცირებულია.



ლორან რობერს ყბა მოუნგრიეს

# გერმანია

ნიკა შუბლაძე



ფრანკ ვერლაატს როკე სანტა კრუზმა ლამის თვალი ამოუგდო

# ოტმარ ჰიცფელდი?

**ქვეყნის** ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია“ დღეს შეეცდება, შეჭირვებულ მიუნხენის „ბაიერნს“ კიდევ უფრო დაამძიმოს ჩექმა და მისსავე მოედანზე მოუგოს. ბავარიის მხარეში ჩასული რურელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მიაღწიონ იმას, რასაც ბოლო ექვსი სეზონია ამაოდ ელიან, ზუსტად ამდენი ხანია, „დორტმუნდს“ „ბაიერნისთვის“ „ოლიმპიაშტადიონზე“ არ მოუგია.

დღევანდელი დიდი მატჩის მთავარი მოქმედი პირი ოტმარ ჰიცფელდი იქნება. ერთი იმიტომ, რომ ის ზედმიწევნით კარგად იცნობს მოწინააღმდეგე გუნდს, 1998 წლამდე, ანუ მიუნხენურ კლუბში მისვლამდე ედგა სათავეში და დორტმუნდელთა ისტორიაში ყველაზე დიდ წარმატებასაც მიაღწია — ჩემპიონთა თასი მოიგო. და კიდევ, ამ ბოლო დროს ძალიან ბევრი გერმანული გაზეთი ჰიცფელდის გვარის გასწვრივ დიდ კითხვის ნიშანს სვამს. ყველას აინტერესებს, როდემდე ეყოფა „ბაიერნის“ პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს გამძლეობა და ნერვები მწვრთნელის დასაცავად.

არავინ იცის იქნება თუ არა დღევანდელი მატჩის 90 წუთი „კაიზერ ფრანცის“ მოთმინების ფიალის ბოლო წვეთი. თავად ჰიცფელდი კი იმედით ელის ყოფილ კლუბთან დაპირისპირებას.

ზღვაში წვეთია, მაგრამ „ბაიერნმა“ გასულ ოთხშაბათს ცოტათი მაინც გამოასწორა წაგებათა სერიებით გაფუჭებული განწყობა. გერმანიის თასზე მოუგო „ჰანოვერს“ 2:1, მაშინ როცა „დორტმუნდმა“ იმავე შეჯიბრებაში „ფრაიბურგისგან“ სამარცხვინო 0:3 იწვნია.

ზუსტად იმ დროს, როცა მიუნხენური მატჩის არბიტრი დაწყების სასტვენს ჩაჰბერავს, ქალაქის მეორე გუნდი „მიუნხენ 1860“ ჰამბურგში წარსდგება. წლევანდელ სეზონში ისე აეწყო, რომ მიუნხენური კლუბი უფრო ძლიერია, ვიდრე ჰამბურგული, თუმცა დღევანდელ სტუმრებს ამ სტადიონიდან ბოლო ოთხ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა აქვთ აღებული. მიუნხენელებს დღეს თავდამსხმელი მარტინ მაქსი ვერ დაეხმარება, ხოლო მასპინძლები ასევე შემტევ ძალას, ერიკ მაიერს და სერგი ბარბარესს მოისაკლისებენ.

წინა ტურში „ბაიერნის“ მომგები „ვერდერი“ „ვოლფსბურგთან“ შეეცდება ურთიერთობის გარკვევას. გავიხსენოთ ისიც, რომ „ვოლფსბურგმა“ და „მიუნხენ 1860“-მა შუა კვირაში ძალიან დაძაბული სათასო მატჩი გადაიტანეს და საქმე პენალტების სერიამდეც გააჭიანურეს, ამიტომ საფუძვლიანი ეჭვია, რომ „მგლები“ სათანადოდ ვერ მოასწრებდნენ ჯანის აღდგენას. ბოლოს ისიც დავამატოთ, რომ სტუმრებს ჰოლანდიელი ლიბერო ფრანკ ვერლაატი გამოაკლდებათ, რომელიც წინა ტურში ბაიერნელ როკე სანტა კრუზთან ორთაბრძოლისას დაშავდა.

შეჭირვებული „კაიზერსლაუტერნი“ მასზე ოდნავ ძლიერ (ყოველ შემთხვევაში სატურნირო ცხრილიდან ამ დასკვნის გამოტანა შეიძლება) „ჰანოვერს“ მასპინძლობს. სტუმრები იმედით ელიან, რომ ფრედი ბობიჩი ტრავმის შემდეგ დაბრუნდება. არადა, გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი გუნდის მთავარი იმედია — მან ამ სეზონში უკვე შვიდი გოლის გატანა მოახერხა.

თუ „ჰანოვერი“ ბობიჩით იმუქრება, „კაიზერსლაუტერნს“ მიროსლავ კლოზე ჰყავს, რომელმაც სათასო მატჩი მუცლის ტკივილის გამო გამოტოვა, მაგრამ როგორც ეტყობა, მას მერე კარგად იმკურნალა და მუცლის გვრემამაც გაუარა, ამიტომ ის ითამაშებს.

შაბათს კიდევ ერთი საინტერესო მატჩია, „ლევერკუზენი“ გელზენკირხენში ჩადის. ისტორიიდან ირკვევა, რომ „შალკე“ 1997 წლის მერე ვეღარ ამარცხებს შინ ლევერკუზენელებს. ვნახოთ შეეშველება, თუ არა მშვენიერ ფორმაში მყოფი ებე სანდი მასპინძლებს, რათა ნავსი გატეხონ. „ლევერკუზენი“ კი ორი ფეხბურთელით მოძლიერებული ჩავა გელზენკირხენის თანამედროვე არენაზე — ტრავმის შემდეგ გუნდს ბულგარელი დიმიტარ ბერბატოვი და ბრაზილიელი მცველი ჟუანი დაუბრუნდნენ.

კვირას მეთექვსმეტეადგილოსანი „მონხენგლადბახი“ მაჩაწალა „კოტბუსს“ შეხვდება. ჯერ ამ ორ გუნდს ისედაც რა ძალა აქვს და მერე კიდევ რამდენიმე წამყვანი მოთამაშეც გამოაკლდებათ — მასპინძლებს ორი თავდამსხმელი არი ვან ლენტი და პიტერ ვან ჰუდტი, ხოლო სტუმრებს დისკვალიფიცირებული რადოსლავ კალუჟნი და დაშავებული ფორვარდი პაოლო რინკი.

| XII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვოლფსბურგი | — | ვერდერი |
| ბაიერნი | — | დორტმუნდი |
| ჰამბურგი | — | მიუნხენ 1860 |
| არმინია | — | ნიურნბერგი |
| შალკე | — | ლევერკუზენი |
| შტუტგარტი | — | ბოხუმი |
| ლაუტერნი | — | ჰანოვერი |
| **ხვალ** | | |
| ჰერტა | — | ჰანზა |
| გლადბახი | — | კოტბუსი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 11 | 7 | 2 | 2 | 26:13 | 23 |
| დორტმუნდი | 11 | 5 | 6 | 0 | 17:7 | 21 |
| მიუნხენი | 11 | 6 | 2 | 3 | 18:13 | 20 |
| ვერდერი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:19 | 20 |
| შალკე | 11 | 5 | 4 | 2 | 14:10 | 19 |
| ბოხუმი | 10 | 5 | 2 | 3 | 23:16 | 17 |
| შტუტგარტი | 11 | 4 | 5 | 2 | 17:12 | 17 |
| ჰერტა | 11 | 4 | 4 | 3 | 12:11 | 16 |
| ვოლფსბურგი | 11 | 5 | 1 | 5 | 12:14 | 16 |
| ჰანზა | 11 | 4 | 2 | 5 | 13:10 | 14 |
| არმინია | 11 | 4 | 2 | 5 | 12:19 | 14 |
| ნიურნბერგი | 11 | 4 | 1 | 6 | 14:18 | 13 |
| ჰამბურგი | 11 | 4 | 1 | 6 | 12:18 | 13 |
| ლევერკუზენი | 11 | 3 | 3 | 5 | 14:18 | 12 |
| ჰანოვერი | 11 | 3 | 3 | 5 | 21:26 | 12 |
| გლადბახი | 11 | 3 | 2 | 6 | 11:10 | 11 |
| ლაუტერნი | 10 | 1 | 4 | 5 | 9:14 | 7 |
| კოტბუსი | 11 | 1 | 2 | 8 | 5:23 | 5 |

# ესპანეთი

გიორგი დარჩანია

# მოდით, გონივრულად ვიმსჯელოთ

| IX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მალაგა | — | ოსასუნა |
| რაიო ვალეკანო | — | რეალი |
| სოსიედადი | — | დეპორტივო |
| ვალენსია | — | ბეტისი |
| **ხვალ** | | |
| ბარსელონა | — | ვილიარეალი |
| სელტა | — | ესპანიოლი |
| მალიორკა | — | ალავესი |
| სევილია | — | რასინგი |
| უელვა | — | ვალიადოლიდი |
| ატლეტიკო | — | ბილბაო |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 8 | 6 | 2 | 0 | 20:12 | 20 |
| ვალენსია | 8 | 5 | 2 | 1 | 17:5 | 17 |
| მალიორკა | 8 | 5 | 0 | 3 | 11:10 | 15 |
| სელტა | 8 | 4 | 2 | 2 | 11:6 | 14 |
| ბეტისი | 8 | 3 | 4 | 1 | 16:9 | 13 |
| რეალი | 8 | 3 | 4 | 1 | 14:8 | 13 |
| დეპორტივო | 8 | 4 | 1 | 3 | 11:12 | 13 |
| ბარსელონა | 8 | 3 | 3 | 2 | 16:11 | 12 |
| მალაგა | 8 | 3 | 3 | 2 | 16:16 | 12 |
| ატლეტიკო | 8 | 2 | 5 | 1 | 12:8 | 11 |
| რასინგი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:8 | 11 |
| ვალიადოლიდი | 8 | 3 | 1 | 4 | 8:11 | 10 |
| რაიო | 8 | 2 | 2 | 4 | 10:14 | 8 |
| ალავესი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:18 | 8 |
| ბილბაო | 8 | 2 | 2 | 4 | 9:17 | 8 |
| ვილიარეალი | 8 | 1 | 4 | 3 | 9:10 | 7 |
| სევილია | 8 | 1 | 4 | 3 | 6:8 | 7 |
| ესპანიოლი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:13 | 7 |
| ოსასუნა | 8 | 1 | 2 | 5 | 10:17 | 5 |
| უელვა | 8 | 1 | 2 | 5 | 6:15 | 5 |

**ჩემპიონი** „ვალენსია“ შუა კვირაში სამეფო თასიდან მესამედივიზიონელმა „ალიკანტემ“ კი გააგდო, მაგრამ გუნდის დასუსტებასა თუ ჩავარდნაზე ლაპარაკი გონივრული არ იქნება. ესპანეთში ყოველთვის ასე იყო, რომ პრიმერადივიზიონის მოგების მოსურნე გუნდები ალმაცერად უყურებდნენ თასის გათამაშებას, მით უფრო, ჩემპიონთა თასისკენაც თუ აქვთ მიპყრობილი მზერა.

„რეალ ბეტისთან“ მატჩისას „ვალენსია“ იმიტომაც არ იქნება „ალიკანტესთან“ დამარცხებული გუნდი, რომ სამი გამორჩეული მოთამაშე დაუბრუნდება: მეკარე სანტიაგო კანისარესი, რუბენ ბარახა და პაბლო აიმარი. უმნიშვნელო ფაქტორი არც ისაა, რომ ლიდერ „რეალ სოსიედადს“ უმძიმესი მატჩი ელის „დეპორტივოსთან“ და თუ წააგო, ვალენსიელებს სამქულიანი ჩამორჩენის ამოქაჩვის შანსი მიეცემათ.

თავის მხრივ „ბეტისიც“ მოსაგებადაა შემართული და საშინელი სერიის შეწყვეტას ეცდება — სევილიელებს „მესტალიაზე“ აგერ უკვე 17 წელია, არ მოუგიათ. სხვა მხრივ კი „ბეტისმა“ ხეირიანი სტარტის მერე წაიფორხილა, ზედიზედ ოთხი მატჩი ვერ მოიგო, თუმცა წინა ტურში „მალაგა“ 3:0 დაამარცხა და ხასიათი გამოიკეთა. სხვა რა ვთქვათ, ვიქტორ ფერნანდესს ჩინებულ ფორმაში ჰყავს დენილსონი, ხოაკინი და ძველი რომაელი მარკოს ასუნსაო.

ზემოთ ლიდერის უმძიმესი მატჩი ვახსენეთ და დავძინოთ, რომ „დეპორტივოს“ მერე ბასკებს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უწევთ თამაში, 1 დეკემბრის ტურში კი „ბარსელონას“ მასპინძლობენ. ერთი სიტყვით, დიდი შანსია, დივიზიონის ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი მალე ასეთი აღარ იყოს, რაც მეტად დაძაბავს სატურნირო ვითარებას. სანსებასტიანელთა დღევანდელმა მეტოქემ კი, შეგახსენებთ, წინა ტურში „რეალთან“ ფრედ ითამაშა.

| 19.00 | 2422 | ჩელსი-ბირმინგემი | 1,25 | 3,6 |
| 19.00 | 2423 | ევერტონი-ჩარლტონი | 1,5 | 2,6 |
| 19.00 | 2424 | მიდლსბრო-ლივერპული | 2,1 | 1,75 |
| 19.00 | 2425 | საუთჰემპტონი-ბლექბერნი | 1,8 | 2,0 |
| 21.00 | 2426 | ინტერი-უდინეზე | 1,2 | 4,0 |
| 23.30 | 2427 | პიაჩენცა-რომა | 2,2 | 1,7 |
| 21.00 | 2428 | მალაგა-ოსასუნა | 1,35 | 3,2 |
| 23.00 | 2429 | რაიო-რეალი | 2,8 | 1,45 |
| 23.00 | 2430 | სოსიედადი-დეპორტივო | 1,8 | 2,0 |
| 00.15 | 2443 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1,2 | 4,0 |
| 00.30 | 2431 | ვალენსია-ბეტისი | 1,5 | 2,6 |
| | | 10 ნოემბერი | | |
| 20.30 | 2432 | ჰერტა-ჰანზა | 1,4 | 3,0 |
| 20.30 | 2433 | მიონხენგლადბახი-კოტბუსი | 1,4 | 3,0 |
| 18.00 | 2434 | ვესტ ჰემი-ლიდსი | 1,9 | 1,9 |
| 20.05 | 2435 | სანდერლენდი-ტოტენჰემი | 1,9 | 1,9 |
| 18.00 | 2436 | ბოლონია-კომო | 1,35 | 3,2 |
| 18.00 | 2437 | ბრეშა-ემპოლი | 1,7 | 2,2 |
| 18.00 | 2438 | კიევო-ატალანტა | 1,4 | 3,0 |
| 18.00 | 2439 | ლაციო-პარმა | 1,5 | 2,6 |
| 18.00 | 2440 | პერუჯა-ტორინო | 1,65 | 2,3 |
| 18.00 | 2441 | რეჯინა-მოდენა | 1,75 | 2,1 |
| 23.30 | 2442 | იუვენტუსი-მილანი | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 2444 | სელტა-ესპანიოლი | 1,35 | 3,2 |
| 20.00 | 2445 | მალიორკა-ალავესი | 1,5 | 2,6 |
| 20.00 | 2446 | სევილია-რასინგი | 1,45 | 2,8 |
| 20.00 | 2447 | უელვა-ვალიადოლიდი | 1,8 | 2,0 |
| 23.30 | 2448 | ატლეტიკო-ბილბაო | 1,5 | 2,6 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო)

(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 9 ნოემბერი | | |
| 15.30 | 2211 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 1,95 | 1,65 |
| 15.30 | 2212 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1,9 | 1,7 |
| 15.30 | 2213 | ჰამბურგი-მიუნხენი | 1,9 | 1,7 |
| 15.30 | 2214 | არმინია-ნიურნბერგი | 1,9 | 1,7 |
| 15.30 | 2215 | შალკე-ლევერკუზენი | 2,0 | 1,6 |
| 15.30 | 2216 | შტუტგარტი-ბოხუმი | 2,0 | 1,6 |
| 15.30 | 2217 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 2,0 | 1,6 |
| 16.15 | 2218 | სიტი-მანჩესტერი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2219 | არსენალი-ნიუკასლი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2220 | ასტონ ვილა-ფულემი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2221 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2222 | ჩელსი-ბირმინგემი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2223 | ევერტონი-ჩარლტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2224 | მიდლსბრო-ლივერპული | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2225 | საუთჰემპტონი-ბლექბერნი | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2226 | ინტერი-უდინეზე | 1,95 | 1,65 |
| 23.30 | 2227 | პიაჩენცა-რომა | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2228 | მალაგა-ოსასუნა | 2,0 | 1,6 |
| 23.00 | 2229 | რაიო-რეალი | 2,0 | 1,6 |
| 23.00 | 2230 | სოსიედადი-დეპორტივო | 1,9 | 1,7 |
| 00.15 | 2243 | ბარსელონა-ვილიარეალი | 2,2 | 1,5 |
| 00.30 | 2231 | ვალენსია-ბეტისი | 1,9 | 1,7 |
| | | 10 ნოემბერი | | |
| 20.30 | 2232 | ჰერტა-ჰანზა | 1,95 | 1,65 |
| 20.30 | 2233 | მიონხენგლადბახი-კოტბუსი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2234 | ვესტ ჰემი-ლიდსი | 1,85 | 1,75 |
| 20.05 | 2235 | სანდერლენდი-ტოტენჰემი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2236 | ბოლონია-კომო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2237 | ბრეშა-ემპოლი | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2238 | კიევო-ატალანტა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2239 | ლაციო-პარმა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2240 | პერუჯა-ტორინო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2241 | რეჯინა-მოდენა | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2242 | იუვენტუსი-მილანი | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2244 | სელტა-ესპანიოლი | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2245 | მალიორკა-ალავესი | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2246 | სევილია-რასინგი | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2247 | უელვა-ვალიადოლიდი | 1,85 | 1,75 |
| 23.30 | 2248 | ატლეტიკო-ბილბაო | 1,95 | 1,65 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 09.11 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (XII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 09.11 16.15 | 2602 | ინგლისი პრ. (XIII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 09.11 21.00 | 2604 | იტალია "A" (IX ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 09.11 21.00 | 2605 | ესპანეთი Iდ. (IX ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 9 ნოემბერი | | |
| 15.30 | 2311 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 1,6 | 2,0 |
| 15.30 | 2312 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1,6 | 2,0 |
| 15.30 | 2313 | ჰამბურგი-მიუნხენი | 1,65 | 1,95 |
| 15.30 | 2314 | არმინია-ნიურნბერგი | 1,65 | 1,95 |
| 15.30 | 2315 | შალკე-ლევერკუზენი | 1,65 | 1,95 |
| 15.30 | 2316 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1,7 | 1,9 |
| 15.30 | 2317 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1,6 | 2,0 |
| 16.15 | 2318 | სიტი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2319 | არსენალი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2320 | ასტონ ვილა-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2321 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2322 | ჩელსი-ბირმინგემი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2323 | ევერტონი-ჩარლტონი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2324 | მიდლსბრო-ლივერპული | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2325 | საუთჰემპტონი-ბლექბერნი | 1,75 | 1,85 |
| 21.00 | 2326 | ინტერი-უდინეზე | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2327 | პიაჩენცა-რომა | 1,75 | 1,85 |
| 21.00 | 2328 | მალაგა-ოსასუნა | 1,7 | 1,9 |
| 23.00 | 2329 | რაიო-რეალი | 1,75 | 1,85 |
| 23.00 | 2330 | სოსიედადი-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| 00.15 | 2343 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2331 | ვალენსია-ბეტისი | 1,7 | 1,9 |
| | | 10 ნოემბერი | | |
| 20.30 | 2332 | ჰერტა-ჰანზა | 1,8 | 1,8 |
| 20.30 | 2333 | მიონხენგლადბახი-კოტბუსი | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2334 | ვესტ ჰემი-ლიდსი | 1,75 | 1,85 |
| 20.05 | 2335 | სანდერლენდი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2336 | ბოლონია-კომო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2337 | ბრეშა-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2338 | კიევო-ატალანტა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2339 | ლაციო-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2340 | პერუჯა-ტორინო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2341 | რეჯინა-მოდენა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2342 | იუვენტუსი-მილანი | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 2344 | სელტა-ესპანიოლი | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 2345 | მალიორკა-ალავესი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2346 | სევილია-რასინგი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2347 | უელვა-ვალიადოლიდი | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2348 | ატლეტიკო-ბილბაო | 1,7 | 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 ნოემბერი | | | | | | | | | |
| 15.30 | 2111 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,2 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 15.30 | 2112 | ბაიერნი-დორტმუნდი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 15.30 | 2113 | ჰამბურგი-მიუნხენი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 15.30 | 2114 | არმინია-ნიურნბერგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 15.30 | 2115 | შალკე-ლევერკუზენი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 15.30 | 2116 | შტუტგარტი-ბოხუმი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 15.30 | 2117 | კლაუტერნი-ჰანოვერი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 16.15 | 2118 | სიტი-მანჩესტერი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 19.00 | 2119 | არსენალი-ნიუკასლი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 2120 | ასტონ ვილა-ფულემი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 19.00 | 2121 | ბოლტონი-ვ.ბრომვიჩი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 19.00 | 2122 | ჩელსი-ბირმინგემი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,2 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 2123 | ევერტონი-ჩარლტონი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 19.00 | 2124 | მიდლსბრო-ლივერპული | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 19.00 | 2125 | საუთჰემპტ.-ბლექბერნი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 21.00 | 2126 | ინტერი-უდინეზე | 1,6 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.30 | 2127 | პიაჩენცა-რომა | 5,6 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 21.00 | 2128 | მალაგა-ოსასუნა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 23.00 | 2129 | რაიო-რეალი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,7 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 23.00 | 2130 | სოსიედადი-დეპორტივო | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 00.15 | 2143 | ბარსელონა-ვ.რეალი | 1,6 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 00.30 | 2131 | ვალენსია-ბეტისი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | | | | |
| 20.30 | 2132 | ჰერტა-ჰანზა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 20.30 | 2133 | მ.გლადბახი-კოტბუსი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 18.00 | 2134 | ვესტ ჰემი-ლიდსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.05 | 2135 | სანდერლ.-ტოტენჰემი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 18.00 | 2136 | ბოლონია-კომო | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,1 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 2137 | ბრეშა-ემპოლი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.00 | 2138 | კიევო-ატალანტა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 2139 | ლაციო-პარმა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.00 | 2140 | პერუჯა-ტორინო | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 2141 | რეჯინა-მოდენა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.30 | 2142 | იუვენტუსი-მილანი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 20.00 | 2144 | სელტა-ესპანიოლი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 20.00 | 2145 | მალიორკა-ალავესი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 20.00 | 2146 | სევილია-რასინგი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.00 | 2147 | უელვა-ვალიადოლიდი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.30 | 2148 | ატლეტიკო-ბილბაო | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ნონა გაფრინდაშვილი: იმ დღეს მეორედ დავიბადე

ორმოცი წლის წინათ საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი, ისტორიული მოვლენა მოხდა. 1962 წელს თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელებმა პირველად იზეიმეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვეს, ნონა გაფრინდაშვილი კი მსოფლიოს საჭადრაკო ტახტზე პირველად აღზევდა. მას შემდეგ 40 წელიწადი გავიდა და ამ თარიღთან დაკავშირებით გავიხსენეთ კიდეც ქართველ ხელბურთელთა და კალათბურთელთა წარმატებების ამბავი, დღეს კი ნონა გაფრინდაშვილის იმ ტრიუმფის ამბავს შეგვახსენებს მიხეილ ზარგარიანის ფოტონარკვევი



ნონა გაფრინდაშვილი პირველი საჭადრაკო გვირგვინით. „არასოდეს დამავიწყდება 1962 წლის 17 ოქტომბრის დილა. ამ დღეს მეორედ დავიბადე – მსოფლიო ჩემპიონი გავხდი"



ნონა გაფრინდაშვილსა და ელისაბედ ბიკოვას მატჩმა მსოფლიოს საჭადრაკო გვირგვინისთვის უდიდესი ინტერესი გამოიწვია

„მატჩის დაწყებამდე ალბათ ყველას ეგონა, რომ საჭადრაკო გვირგვინისათვის მწვავე, მომხიბლავი ბრძოლა გაჩაღდებოდა, მაგრამ ახალგაზრდა ქართველმა გოგონამ ბევრი შეხვედრა თავისი ნება-სურვილით წარმართა და საბოლოო შედეგი 9:2 (შვიდი მოგება, ოთხი ყაიმი) საკმაოდ ნათლად გამოხატავს ძალთა შეფარდებას ამ ორთაბრძოლაში. დიახ, გაიმარჯვა უძლიერესმა".

ტიგრან პეტროსიანი, „პრავდა"

„ნონა სწორედ იმ ზღაპრული კოლხეთიდანაა, სადაც ძველი არგონავტები „ოქროს საწმისს" ეძებდნენ. როგორც ცნობილია, არგონავტებმა ვერ იპოვეს იგი, ნონამ კი მიაგნო მას".

„კომსომოლსკაია პრავდა"

შეჯიბრების საზეიმო დახურვაზე ელისაბედ ბიკოვამ ნონა გაფრინდაშვილს აჩუქა თავისი წიგნი ვერა მენჩიკზე, რომელსაც ასე წააწერა: „ნონა გაფრინდაშვილს — მსოფლიოს პირველი ჩემპიონის დიდებული ტრადიციების ღირსეულ გამგრძობს. საუკეთესო სურვილებით. ელისაბედ ბიკოვა. 1962 წლის 18 ოქტომბერი, მოსკოვი".



ნონა გაფრინდაშვილს მოსკოვში უპირველესად მისი მშობლები, ტერენტი და ვერა გაფრინდაშვილები ქომაგობდნენ




იმ შემოდგომას, 1962 წლის ოქტომბერში ნონა გაფრინდაშვილი ელისაბედ ბიკოვას მოსკოვში მიადგა და ზარს შემოჰკრა, მსოფლიოს საჭადრაკო ტახტზე მე მოვედიო, რაც მხატვარმა ა.კანდელაკმა ასე ასახა



თბილისის რკინიგზის ვაგზალი და მისი მიმდებარე ტერიტორია ნონა გაფრინდაშვილის შესახვედრად მოსულ გულშემატკივარს ვეღარ იტევდა

**WTA-ს ჩემპიონატი**
**ლოს ანჯელესი**
**საპრიზო 3 მილიონი $**

**მერვედფინალი**

**ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) — სილვია ფარინა ელია (იტალია) 7:5, 6:4; სერენა უილიამსი (1, აშშ) — ანა სმაშნოვა 6:2, 6:2; ელენა დოკიჩი (8, იუგოსლავია) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 6:3, 6:4; მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (7, სლოვაკეთი) 6:2, 7:5**

# იქ არაფერი აკვირვებთ




## ეთნოსენტიმენტალური მატჩი-მეტაფორა

### პატარა ებრაელი გოგონა ზორბა ზანგი დედაკაცის ხელში შესაწირ ბატკანს ჰგავდა

საოცარია, მაგრამ ფაქტია, მაყურებელი არ სწყალობს ლოს ანჯელესში გახურებულ WTA-ს ჩემპიონატს. არადა, თითქოს მრავალი საცდური არსებობს ხალხის მოსაზიდად: ნბა-ს გუნდების — „ლეიკერსის" და „კლიპერსის" ბინაში, სადაც სტუმრებს სიმწრის ოფლს ადენენ შაკილ ონილი, კობი ბრაიანტი, ლამარ ოდომი და სხვები, ახლა ერთმანეთს სიქას აცლიან არანაკლებ ცნობილი სპორტსმენები, ლამის შაკილივით დიდი და ჯანიანი შავგოგონები — სერენა და ვინუს უილიამსები და მსოფლიოს დანარჩენი უყოჩაღესი დიაცები. მათთვის, ვისაც პატარა მწვანე ბურთის ერთფეროვან აქეთ-იქით ტიკ-ტიკს, ვთქვათ, თვალისთვის საჩინო ბარძაყების და დაუდეგარი მკერდის ხილვა ურჩევნია, კი, ბატონო, აგერ, არიან ელენა დოკიჩი და დანიელა ჰანტუხოვა. სისხლსავსე კალიფორნიელი მამრები ალბათ არც ელენა დემენტიევას აარიდებენ თვალს. ხოლო ის, ვისაც სპორტულ სარბიელზე თანამემამულის გამარჯვების ხილვა და გულში ეროვნული სიმების შერხევა სურს, სულ იოლად დაკმაყოფილდება. დები უილიამსები, ჯენიფერ კაპრიატი და მონიკა სელეში იოლად დაამტკიცებენ, რომ ამერიკული ჩოგბურთი, ყოველ შემთხვევაში, ქალთა მაინც ერთიორად აღემატება ყველა სხვა ქვეყნის სკოლას.

ყველაფერ ამას თავი რომ დავანებოთ, WTA-ს ჩემპიონატი სხვა მხრივაც იწვევს ზღვა ინტერესს. ეს გახლავთ საჩოგბურთო სეზონის გვირგვინი, სადაც 16 რჩეული წლეულს უკანასკნელად დაჩოგნავს ერთმანეთს და უსათუოდ გულმოდგინედაც, რაკი 3-მილიონიანი საპრიზო ფონდი საუკეთესო სტიმულია.

მაგრამ ეს ყველა მიზეზი რატომღაც არ გაითვალისწინა ხალხმა. დიდ ლოს ანჯელესში ათ მილიონზე მეტი კაცი სახლობს, „სტეიპლზ სენთერს" კი ათეულობით ათასი ბილეთი გაუოხრდა. სერენა უილიამსის თამაშს მხოლოდ ორი ათასი კაცი დაესწრო, ელენა დოკიჩისგან რუსი ანასტასია მისკინას ძლევას კი, ჰოი, სირცხვილო, ორი ასეული მოცლილი. რაც უნდა ღრმად იყო პატრიოტიზმით გაჟღენთილი, აქ შეიძლება კაცმა ცდუნებას ვერ გაუძლო და უილაჯოდ შეიკურთხო, რადგან საქართველოში გაჩნდი და არა ლოს ანჯელესში, სადაც ამგვარი სანახაობა მოყირჭებიათ.

დოკიჩს თან ახლდა ბრაზილიელი ბოიფრენდი, ფორმულა I-ის აწ დაშლილი საჯინიბო „ეროუზის" ყოფილი პილოტი ენრიკე ბერნოლდი და საკმაოდ მხნედაც გამოიყურებოდა. იუგოსლავიელმა ერთობ თავდაჯერებულად გაუყენა თავის გზას ანასტასია მისკინა და ხალხს, თუმცა ხალხი სადაა, სპეციალისტებს და ჟურნალისტებს ძველი ზეენერგიული ელენა გაახსენა. არადა, დოკიჩი თითქოს უფორმობას უჩივის. აკი ბოლო ხუთი ტურნირიდან სამში პირველივე წრეში წააგო და ეკითხებიან თუ არ ეკითხებიან, ამბობს, გადავიღალეო. ახლა კი თქვა: „შეიძლება, ეს ჩემი ბოლო შეხვედრა ყოფილიყო ამ სეზონში, შეიძლება, წამეგო, მეც ვიფიქრე, რატომ არ დავიხარჯო ბოლომდე, თუკი დასასვენებლად მთელი ორი თვე მაქვს-მეთქი. ენერგიის მოზღვავება ვიგრძენი, უფრო ფსიქოლოგიური, ვიდრე ფიზიკურის და აი, ხედავთ, მოვიგე კიდეც. [illegible] ენერგია შემდეგ შეხვედრაში უფრო გამოადგება, მეოთხედფინალში მისი მეტოქე იქნება უმცროსი უილიამსი, თვით მრისხანე სერენა.

სერენა წლეულს არანორმალურ ფორმაშია, შესანიშნავი სეზონი ჰქონდა და ერთბაშად რვა (!) ტურნირი მოიგო. ამ ტურნირის საპრიზოს გამოკლებით მან სხვადასხვა საპრიზოებით წლეულს უკვე მოაგროვა 4 მილიონი დოლარი და შეიქნა პირველი ქალი, ვინც წელიწადში ამდენი გააკეთა. ცხადია, სარეკლამო ფულს და სხვა ირიბ შემოსავალს არ ვთვლით, რომელიც ცალკე დამატებით ორიოდ მილიონს უდრის. სერენა ახლა ტურნირიდან ტურნირზე ბედნიერების ძიებაში მოხეტიალე გოგო როდია, ის საზოგადოებაში მიღებული პირია, სასურველი სტუმარია ათასგვარ ღონისძიება-წვეულებებზე და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ შეზღუდული სამსახიობო მონაცემები აქვს, ფილმშიც კი იღებენ (ალბათ, შეიძლება, სერიალს ფილმი ვუწოდოთ).

ცხადია, სერენა სეზონის დასკვნით ტურნირშიც შეეცდება, გამარჯვებას... კინაღამ დაგვავიწყდა, აღგვენიშნა, სერენა WTA-ს ჩემპიონატის შარშანდელი გამარჯვებულია. ჯერჯერობით მას ყველაფერი და პირველ რიგში მძლავრი ძვალკუნთოვანი სისტემა მწყობრში აქვს, რაც პირველივე წრეში გამოჩნდა. პატარა ებრაელი გოგონა ანა სმაშნოვა ჯანიანი ზანგი დედაკაცის ხელში შესაწირ ბატკანს ჰგავდა. უილიამსმა მას 53 წუთში მოუთავა ხელი, 6:2, 6:2 მოუგო. ერთი კია, პრაქტიკულად უნაკლო თამაშის მიუხედავად, სერენამ იმედი გამოთქვა, რომ შემდეგ წრეებში უფრო უკეთ ათამაშდება.

გუშინწინვე ტურნირს გამოეთხოვა პირველი განთესილი, მე-7 ნომერი დანიელა ჰანტუხოვა. შვლისფეხა სლოვაკმა ვერ გაუძლო კლასიფიკაციის მიხედვით ოდნავ სუსტი მეტოქის, ბულგარელი მაგდალენა მალეევას აგრესიულ შემოტევებს და 2:6, 5:7 მარცხით ტურნირს გაეყარა. მალეევა ახლა შესანიშნავ ფორმაშია და ბოლო ოთხი ტურნირის ორ ფინალში გასულა, აქედან მოსკოვის ზორბა ტურნირი მოუგია, თან ისეთ ჩოგბურთელებზე გავლით, როგორებიც არიან ვინუს უილიამსი, ამელი მორესმო და ლინდსი დევენპორტი.

მეორე წრეში მალეევას მეტოქე იქნება ოდესღაც ნარკომანი, ახლა კი საოცრად ჯანმრთელი და ბუთქუნა ჯენიფერ კაპრიატი. კაპრიატი უილიამსების შემდეგ რეიტინგით ყველაზე ძლიერია, მესამე ნომრადაა განთესილი და ფავორიტობა პირველ წრეში იტალიელი სილვია ფარინა ელიას ძლევით დასტურყო.

**ირაკლი ფირუზაშვილი**

---

**MASTERS CUP შანხაი საპრიზო 3.7 მილიონი $**

# შენი მაღმერთებელნი დაგცემენ შენ!

*წლების წინ, როცა ანდრე აგასის ჩოგანი მსოფლიოს აზანზარებდა, ერთ ადელაიდელ (ავსტრალიაშია) ჟღალ და ჭორფლიან ბიჭუნას ლეიტონ ჰიუიტს, ისევე როგორც ათასობით მის კბილას და მსგავსს მთელ მსოფლიოში, საწოლ ოთახში ხოტორა ამერიკელის პლაკატი ეკიდა და მასთან თამაშზე ოცნებობდა*





**ანდრე აგასი** 32 წლისაც ძალიან მაგარია, ეგებ ყველაზე მაგარიც და ჯერაც შერჩენია შანსი, ეს სეზონი მსოფლიოს პირველ ჩოგნად დაასრულოს. სადღეისოდ ის მეორეა და წლის უკანასკნელ ტურნირში — შანხაის მასტერს-თასზე წაუგებლად გამარჯვების შემთხვევაში 150 სარეიტინგო ქულას დაირიცხავს. ეს საკმარისი იქნება იმისთვის, რომ მან პირველობა ჩამოართვას... ლეიტონ ჰიუიტს, ახლაც თითქმის ბიჭუნას, რომელიც ოდესღაც მასთან თამაშის პატივზე ოცნებოდა. ანდრეს სხვა შანსი აღარ მიეცემა.

სეზონის დასკვნით მასტერს-ტურნირს 1999 წლიდან მუდმივი ბინა არა აქვს. ATP-ს მამები ყოველწლიურად ირჩევენ მისი გამართვის ადგილს. შარშან ეს სიდნეი იყო, შარშანწინ კი ლისაბონი. შარშანდელი ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტია. მაშინ 20 წლის ლეიტონმა შეძლო ის, რაც ახლა აგასის ამოუჭრია გულში, მეორე ჩოგანმა მოიგო ტურნირი და შემატებული ქულებით პირველობა დაათმობინა გუსტავო კუერტენს. ეს იყო უნიკალური შემთხვევა, 20 წლის ბიჭმა სეზონი პირველ ნომრად დაასრულა. ლეიტონი მაშინ სამშობლოში უპოპულარულესი ადამიანი გახდა. მას ამბიცია არ აკლია და 21 წლისა არ აპირებს უკან ნაბიჯის გადადგმას. მის პატივმოყვარეობას მხოლოდ შანხაიში გამარჯვება დააკმაყოფილებს. ცხადია, ის მთავარი ფავორიტია, ხოლო ტურნირის სხვა მონაწილეთაგან მისი ტახტიდან ჩამოგდების შანსი ალბათ მხოლოდ აგასის აქვს.

ჰიუიტმა არ იცის, რა არის შიში, მით უმეტეს, კორტზე და უკვე არც აგასის მიმართაა გამსჭვალული შიშნარევი მოწიწებით, მაგრამ მხცოვან მეტოქე-კოლეგას პატივს კი სცემს. „ანდრეს 1990 წლის შემდეგ არ მოუგია ეს ტურნირი, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. მან წლეულს ხუთ ტურნირში გაიმარჯვა და ისევე ბასრია, როგორც ყოველთვის. მისი სხეული სისწრაფით არ ჩამორჩება გონებას, გონება კი მას ყველაზე სხარტი აქვს" — აი, ასეთი პატივით მოიხსენიებს მურდალი ენის პატრონი ჰიუიტი კონკურენტთა შორის უყოჩაღესს.

ცხადია, შანხაიში მარტო ჰიუიტი და აგასი არ ითამაშებენ. იქ სხვებიც არიან, მაგრამ მოდით, ჯერ ისინი ვახსენოთ, ვინც არ არიან. პირველჩოგანყოფილი ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი წლეულს მუხთალმა ტრავმებმა გატანჯა და კლასიფიკაციაში დააჩოჩა. ამიტომ ის ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ამოირიცხა შანხაიში წასვლის კანდიდატთა არცთუ გრძელი სიიდან. ხოლო მსოფლიოს ალბათ ყველა დროის უძლიერესი ჩოგბურთელი პიტ სამპრასი ძველ მეგობარ აგასივით დროგამძლე ვერ აღმოჩნდა და ახლა სიბერის შემოტევას განიცდის. მართალია, მან ამერიკის ღია პირველობის ფინალში აგასი დაამარცხა, მაგრამ ვინაიდან წლეულს ამის მეტი ხეირიანი არაფერი გაუკეთებია, ვერ მოხვდა წლის რვა საუკეთესო მოთამაშეს შორის. სამაგიეროდ, შანხაის რვაკაცაში ჩოგანს გაქნევენ ისეთი ნაკლებად სახელმოხვეჭილი ჩოგბურთელები, როგორებიც არიან ჩეხი ირჟი ნოვაკი და ესპანელი ალბერტ კოსტა. სხვათა შორის, შანხაის რჩეულ რვეულში ერთბაშად სამი ესპანელი მოხვდა. ასეთი რამ მანამდე მხოლოდ ამერიკელებს მოუხერხებიათ.

საბოლოოდ მსოფლიოს რვა რჩეული ჩოგბურთელი ასე დანაწილდა წრიული ეტაპის ორ ჯგუფში.

**წითელი ჯგუფი:** ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), მარატ საფინი (რუსეთი), კარლოს მოია (ესპანეთი), ალბერტ კოსტა (ესპანეთი)

**ყვითელი ჯგუფი:** ანდრე აგასი (აშშ), ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი), როჯერ ფედერერი (შვეიცარია), ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი)

**ქოთე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროლიგა

### პირველი ჯგუფური ეტაპი. V ტური. 6-7 ნოემბერი

# ლოგიკური კითხვა: ვინ არის ლიდერის ლიდერი?

## ვლადიმერ ბოისა ევროვარსკვლავობას ეთამაშება



ვლადიმერ ბოისა თანაგუნდელთა მილოცვებს მიეჩვია

**ვლადიმერ ბოისა** ევროვარსკვლავობს და ეს სულაც არაა ლიტონი სიტყვები. ახლა არ მოვყვებით „ოლიმპიაში" მის ბოლოდროინდელ წარმატებებზე ლაპარაკს. ბოისას ძალა ევროლიგის ბოლო მატჩშიც დადასტურდა, რომელშიც ლიუბლიანელები შარშანდელი ოთხთა ფინალის მონაწილე თელავივურ „მაკაბის" ხვდებოდნენ.

ვაითუ ბოისას მისამართით თქმული „ევროვარსკვლავი" ცოტა გეჭარბოთ, ამიტომ ყველაფერს აგიხსნით: ვოვა რომ „ოლიმპიას" ერთ-ერთი ლიდერია, „მაკაბისთან" მატჩმაც ცხადყო. მისი გარეშე ლიუბლიანელებს მთელი თამაში შველოდა, ხოლო საფინალო სირენამდე წუთით ადრე ბოისას მიერ ჩაგდებულმა სამქულიანმა ებრაელები საბოლოოდ გატეხა. ამ გამარჯვებით „ოლიმპია" იმ ჯგუფში გალიდერდა, სადაც „მაკაბისთან" ერთად შარშანდელი ჩემპიონი „პანათინაიკოსი" და ესპანური გრანდი „ტაუ" მოკალათებულან, ხოლო ლიდერი გუნდის ლიდერი სხვა რაა, თუ არა ვარსკვლავი?

ეს გამარჯვება ყველაზე შთამბეჭდავი იყო ოლიმპიელთათვის. თამაშის ხასიათი პინგ-პონგისას წააგავდა: ერთი ხანობა ერთ გუნდს რომ ყველაფერი გამოსდიოდა, მერე მეორის ჯერი დგებოდა და ასე ბოლომდე.

თავიდან ლიუბლიანელები დაწინაურდნენ, რომელთაც ხალხსავსე „ჰალა ტივოლი" უმაგრებდა ზურგს, მაგრამ მაკაბელებმა დროის ერთი მონაკვეთი 11:0 მოიგეს და 17:11 დაწინაურდნენ. აქ მასპინძელთა მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა დროული წუთშესვენება აიღო და ოლიმპიელები ისე დამუხტა, მომდევნო ექვსწუთეული 20:1 მოაგებინა. ის კი არა, ლიუბლიანელებმა 18-ქულიან უპირატესობასაც მიაღწიეს მესამე მეოთხედში, მაგრამ თელავიველები გვარიანად კერკეტნი გამოდგნენ და იმდენი მოახერხეს, თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე წინაც გავიდნენ — 73:70.

„ოლიმპია" ახლოს იყო ისეთსავე მარცხთან, ამას წინათ „ტაუსთან" შინ რომ შეემთხვა: დიდი უპირატესობა მთელი თამაშის მანძილზე და ბედუკუღმართი ბოლო წუთები. მაგრამ ამჯერად იღბალმა არ გაწირა ლიუბლიანელები. ჯასმინ პუკიჩის ქულებმა მასპინძლები 2 ქულით დააწინაურა და სწორედ ამ დროს ჩააგდო ბოისამ გადამწყვეტი სამიანი, რამაც მისი საამმატჩო მონაგარი 11 ქულამდე შეავსო. ჩვენებური ჩინებული იყო დაცვაში და ფარზეც. ვოვამ მოედანზე მყოფთაგან უმეტესი — 7 მოხსნა მიიხვეჭა.

ახლა საერთო შედეგით მთელ ევროლიგაში „ოლიმპიას" მხოლოდ „ბარსელონა" თუ სჯობს. კატალონიელებმა ურთულესი მატჩი მოუგეს ტრევიზოს „ბენეტონს" და კვლავაც დაუმარცხებლები არიან. აქვე გეტყვით, რომ ბარსელონაში მანუჩარ მარკოიშვილს არ უთამაშია. ისე, ეტორე მესინასგან ის უფრო იქნებოდა მოულოდნელი, ასეთ დაძაბულ მატჩში ჩვენებური ახალბედა მოედანზე შეეყვანა.

თამაშს თავიდანვე ეტყობოდა, რომ გამარჯვებული მატჩის ბოლოს გაირკვეოდა და ასეც მოხდა. ქულა ქულაში მიმდინარე ბოლო მეოთხედში ამერიკელმა ტაიუს იდნიმ ტრევიზოელები 79:75 დააწინაურა. ბარსელონელი დეიან ბოდიროგა რის ბოდიროგა იქნებოდა, გადამწყვეტ მომენტში სიტყვა არ ეთქვა და მისმა სამიანმა და გამოზომილმა პასებმა მასპინძლები 3 ქულით გაალიდერა. ბოდიროგასი იყო ამ მატჩში „ბარსელონას" მიერ ჩაგდებული ბოლო ბურთიც, მაგრამ ბენეტონელ ტრაიან ლანგდონს სირენასთან ერთად ნასროლით რომ ეხეირა, ბოდიროგა მატჩის გმირი ვეღარ გახდებოდა.

სასწაული მოხდა ევროპული კალათბურთის დედაქალაქად წოდებულ ბოლონიაში: მართალია, ეფესელმა ენდერ არსლანმა, „ბარსელონასთან" მატჩისა არ იყოს, იტალიაშიც ვერ ივარგა, ბოლო წუთზე ორი საჯარიმო ააცილა, მაგრამ სტამბოლელებმა სირენამდე 30 წამში 6(!) ქულის მოხვეჭა მოახერხეს და ადგილობრივი „სკიპერი" 73:72 დაამარცხეს.

მასპინძელთაგან უმეტესი ქულის მიმთვლელმა ჯანმარკო პოცეკომ „სკიპერი" გადამწყვეტ მომენტში დაალალატა. ბოლონიელები ქულას იგებდნენ და მატჩის დასრულებამდე 5 წამი რჩებოდა; „სკიპერის" გამარჯვებაში დარბაზში მყოფთაგან ალბათ ალარავის ეპარებოდა ეჭვი, რადგან ბურთს მასპინძელი პოცეკო ფლობდა, ამან კი იმდენი ქნა, ბურთიც დაკარგა და საფინალო სირენასთან ერთად დაჯარიმდა კიდეც. რკინისნერვებიანმა ანტონიო გრანგერმა კი ეგებ კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი ორი საჯარიმოც ჩააგდო და „ეფესს" ჯადომატჩი მოაგებინა.

თუ „სკიპერი" ბოლონიაში დამარცხდა, საკალათბურთო მთავარქალაქის მეორე გუნდი სტამბოლში შერცხვა. შარშანდელთან შედარებით დასუსტებულმა „კინდერმა" ალმავლობის გზაზე მდგარ „ულქერთან" წაგო. თურქთა ამერიკელი ცენტრი ჯოზეფ ბლერი თამაშის იმტაზეა და თუ ილაჯი ბოლომდე გაჰყვა, ჩვენებურ ზაზა ფაჩულიას სეზონის ბოლომდე არ ეღირსება მოედანზე სასურველი დროით გასვლა. „კინდერთან" ზაზას არ უთამაშია, ბლერმა მთელი მატჩი შეუცვლელად ითამაშა და იტალიელებს 24 ქულა ჩაუგდო. და თუ „ულქერის" მექულეებზე გავაგრძელებთ სიტყვას, აქამდე არაერთხელ თქმული გვარების გამეორება მოგვიწევს. ბუკერის, პრაშკევიჩუსის და ბლერის „ულქერში" მისვლის შემდეგ ოსმალოთ თვისტომი ჰარუნ ერდენაიც დაავიწყდათ და ტუტკუ აჩიკიც. ვერ ვიხსენებთ სტამბოლელთა საევროლიგო მატჩს, რომელიმე ამ ლეგიონერზე მეტი თურქს ჩაეგდოს.

**ირაკლი ბერტაია**

### A ჯგუფი

**ალბა 84:70 ციბონა**
ალბა: ლოლისი (21), სტანოევიჩი (20), კოლინზი (18)
ციბონა: მუეძინოვიჩი (12), პლანინიჩი (11)

**ბარსელონა 86:85 ბენეტონი**
ბარსელონა: ნავარო (24), დუენასი (17), ბოდიროგა (17)
ბენეტონი: ბულერი (20), იდენი (19), ლანგდონი (16)

**აეკ 71:83 პო ორტეზი**
აეკ: კაკიუზისი (27), ბეტსი (12)
პო ორტეზი: სელერსი (20), ლუკოვსკი (16)

**სკიპერი 72:73 ეფესი**
სკიპერი: პოცეკო (18), ბაზილე (13)
ეფესი: ბრაუნი (19), კამბალა (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 0 | 0 | +48 | 10 |
| ბენეტონი | 5 | 3 | 2 | +36 | 8 |
| ეფესი | 5 | 3 | 2 | +14 | 8 |
| პო ორტეზი | 5 | 3 | 2 | -23 | 8 |
| სკიპერი | 5 | 2 | 3 | -9 | 7 |
| ციბონა | 5 | 2 | 3 | -9 | 7 |
| ალბა | 5 | 2 | 3 | -19 | 7 |
| აეკ | 5 | 0 | 5 | -38 | 5 |

### B ჯგუფი

**ოლიმპია 81:76 მაკაბი**
ოლიმპია: იურაკი (15), პუკიჩი (13), ბოისა (30 წუთი, 11 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა)
მაკაბი: ლიუისი (29), შარპი (14), გორდი (11)

**ბუდუჩნოსტი 106:102 ჩალგირისი**
ძირითადი დრო 88:88
ბუდუჩნოსტი: ბრაუნი (27), პავლოვიჩი (22), ბაკიჩი (19)
ჩალგირისი: შტომბერგასი (13), დავიდი (16), ეინიკისი (13)

**ტაუ 75:76 პანათინაიკოსი**
ტაუ: ნოჩიონი (20), ალენი (15), მოტოლა (13)
პანათინაიკოსი: მაკდონალდი (15), მიდლტონი (15)

**უნიკახა 87:71 სიენა**
უნიკახა: ბალოკი (20), ვოიჩიკი (17)
სიენა: კაჩიგი (15), ფორდი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 5 | 4 | 1 | +28 | 9 |
| ტაუ | 5 | 4 | 1 | +24 | 9 |
| უნიკახა | 5 | 3 | 2 | +14 | 8 |
| პანათინაიკოსი | 5 | 3 | 2 | +11 | 8 |
| მაკაბი | 5 | 2 | 3 | +25 | 7 |
| სიენა | 5 | 2 | 3 | -29 | 7 |
| ჟალგირისი | 5 | 1 | 4 | -33 | 6 |
| ბუდუჩნოსტი | 5 | 1 | 4 | -40 | 6 |

### C ჯგუფი

**ულქერი 105:78 კინდერი**
ულქერი: ბლერი (24), ბუკერი (24), პრაშკევიჩუსი (21)
კინდერი: ფროზინი (21), ბელი (20)

**ცსკა 90:75 რეალი**
ცსკა: სონგაილა (20), გატლინგი (14)
რეალი: ალსტონი (16), ვიქტორიანო (12)

**ოლიმპიაკოსი 83:77 ვილერბანი**
ოლიმპიაკოსი: ჯონსონი (27), მარკოვიჩი (16)
ვილერბანი: სმიტი (21), მარცელიჩი (15)

**პარტიზანი 85:86 შლიონსკი**
პარტიზანი: ვუიანიჩი (30), კრსტიჩი (14), ჩანაკი (12)
შლიონსკი: ბოლკომბი (17), ადომაიტისი (14), ვიეკიერა (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 5 | 4 | 1 | +49 | 9 |
| ულქერი | 5 | 3 | 2 | +28 | 8 |
| ვილერბანი | 5 | 3 | 2 | +15 | 8 |
| კინდერი | 5 | 3 | 2 | +6 | 8 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 2 | 3 | +10 | 7 |
| რეალი | 5 | 2 | 3 | -21 | 7 |
| შლიონსკი | 5 | 2 | 3 | -35 | 7 |
| პარტიზანი | 5 | 1 | 4 | -52 | 6 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS ფოტოქრონიკა

ჩონსი ბილაფსმა (ბურთით) და მისმა „დეტროიტმა" „დენვერი" და მისი ბედოვლათი ყოჩი ჯუონ ჰოვარდი ამხილა

# დენვერი აიჭრა, ცქიტიშვილი ისევ ჩაიჭრა

7 ნოემბერი

**დენვერი 63:89 დეტროიტი**
დენვერი: ჰოუზი (21), ვიტნი (2), ჰოვარდი (6), ბოუენი (8), ბლუნტი (4), ილარიო (10), ჰარინგტონი (2), ვაიტი (2), ანდერსონი (8), ცქიტიშვილი (11 წუთი, 1 მოხსნა, 1 პასი), სატერფილდი, ჰარვი
დეტროიტი: ბილაპსი (21), კარი (4), უოლესი (6), ჰამილტონი (15), რებრაჩა (4), რობინსონი (10), ატკინსი (5), ბერი (9), უილიამსონი (7), ოქური (6), პრინსი, დევისი (2)

**მინესოტა 114:110 მილუოკი**
მინესოტა: გარნეტი (28 ქულა, 24 მოხსნა), შერბიაკი (19)
მილუოკი: ტასელი (32), ალენი (27)

**ბოსტონი 98:95 ლეიკერსი**
ძირითადი დრო 89:89
ბოსტონი: პირსი (28), დელკი (26)
ლეიკერსი: ბრაიანტი (41), ჯორჯი (11)

ჯეფ ბზდელიკს დიდი ძალისხმევა და, რაც მთავარია, ხანგრძლივი დრო დასჭირდება საიმისოდ, რათა „დენვერი" ნბა-ს საშუალო დონის გუნდად აქციოს. ახლა კი „ნაგეტსს" ორიოდ სახელიანი კალათბურთელით გააქვს თავი და თუ მათაც ვერ იყოჩაღეს, დენვერელების დიდი ანგარიშით ხშირი მარცხი გარდაუვალია.

გუშინწინ „დენვერის" ლიდერი ჯუონ ჰოვარდი „დეტროიტთან" საშინლად შერცხვა, მოედანზე 37 წუთი იბორიალა და კინკილა 6 ქულა შეაგროვა. ასეთ ვითარებაში აბა, რა მოეთხოვებოდათ დანარჩენებს, რომელთაგან ყველაზე ძვირადღირებულ ჯეიმს პოუზის ჰოვარდზე ოთხჯერ ნაკლები ხელფასი აქვს. შედეგად ბზდელიკის გუნდმა ერთ მატჩში ჩაგდებულ ქულათა საკუთარი ანტირეკორდი კინაღამ დაამხო.

ნბა-ში მკვიდრობის მეოთხედსაუკუნოვან ისტორიაში „დენვერს" ერთ მატჩში ყველაზე ნაკლები 61 ქულა ჩაუგდია, „დეტროიტთან" კი 63-ის მოგროვება „მოახერხა", თუმცა ანტირეკორდს მაინც ვერ გადაურჩა. „ნაგეტსს" საშინაო მატჩებში ასე ცოტა არასდროს ჩაუგდია: დენვერელებმა 1999 წელს „სან ანტონიოსთან" ძლივს შეკრებილი 65 ქულა „გაახუნეს".

ნიკა ცქიტიშვილი ისევ აჭრილია. ამჯერად 11 წუთი ითამაშა და, „ატლანტასთან" წინა მატჩისა არ იყოს, უქულოდ გავიდა მოედნიდან. ქართველმა სამჯერ დაუმიზნა საშუალო მანძილიდან, ერთხელაც სამქულიანს ეცადა, მაგრამ ყველა აუცდა.

და თუ ვინმეს გამორჩევა შეიძლება დენვერელთაგან, ეს ახალბედა ნენე ილარიოა, რადგან ნბა-ში ჭიპმოჭრილ ჯეიმზ პოუზის 21 ქულას არაფრით ჩამოუვარდება ახალგაზრდა ბრაზილიელის 24 წუთში მოპოვებული 10 ქულა.

„დეტროიტს" მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუჭირდა, მერე კი მათი უკანაზნელი ჩონსი ბილაპსი ათამაშდა და საიდანაც არ დაეზარა, იქიდან ჩაუგდო დენვერელებს.

მატჩის შემდეგ ჯეფ ბზდელკი წაგების მიზეზთა ახსნას შეეცადა: „ჩვენ ვეთამაშეთ ძალიან, ძალიან ძლიერ გუნდს. მაგრამ ამის მიუხედავად, სროლისა და კონტრშეტევების განხორციელების შესაძლებლობა ხშირად გვეძლეოდა. სამწუხაროდ, შეტევა არ გამოგვდიოდა და დაცვაზე უფრო მეტს ვფიქრობდით. ასეთი თამაშით კი ვერ ვიხეირეთ".

„არასდროს მინახავს, რომ ვინმეს 47-ჯერ ესროლოს ბურთი ერთ თამაშში" — ნბა-ს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელი ფილ ჯექსონიც კი გააოცა კობი ბრაიანტმა „ბოსტონის" კალათის აკლებით. კობის ბურთი ხელში არ უჩერდებოდა, ესროდა ყველა ადგილიდან და ჯამში 41 ქულა დაუგროვდა, რაც სროლათა რაოდენობის გათვალისწინებით კარგ შედეგად სულაც არ ჩაითვლება.

ბრაიანტმა შაკილ ონილის არყოფნაში რაც შეეძლო, უპატრონა „ლეიკერსს" და სამგზის ჩემპიონებმა „კლივლენდთან" წინა მატჩის დარი სირცხვილი (1960 წლის მერე ერთ შეხვედრაში ყველაზე ცოტა ქულა — 90 ჩააგდეს) რომ არ ჭამეს, მისი დამსახურებაა. თუმცა მეტი სირცხვილი რა გინდა, აქამდე მძლეთამძლე კალიფორნიელებმა 6 მატჩში უკვე მეოთხედ წააგეს.

1960 წელს ლოს ანჯელესში გადაბარგების მერე „ლეიკერსმა" ყველაზე ცუდი პირველი ტაიმი ითამაშა: 24 წუთში 35 ქულაზე მეტი ვერ მოაგროვა, მერე კი ბრაიანტის ჯერი დადგა, ვინც მიყოლებით 8 ბურთი ჩაუგდო ბოსტონელებს და „ლეიკერსის" 15-ქულიანი ტაიმთშორისი ჩამორჩენა ლიდერობაში გარდასახა.

ამ სასწაულით შემოტრიალებული მატჩის მოგებაც შეეძლოთ კალიფორნიელებს, მაგრამ ძირითადი დროის ბოლო წამებზე ბრაიანტმა ააცილა. მერე კობის პასმა, რასაც დივინ ჯორჯის ორქულიანი მოჰყვა, თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა. ცნობისთვის, ჯორჯი 11 ქულით „ლეიკერსის" მეორე საუკეთესო მექულე გახლდათ ამ მატჩში 41-ქულიანი ბრაიანტის შემდეგ.

დამატებით დროში ხომ ყველა ლეიკერსელი კობის იმედზე იყო, რომელმაც მეორე ოვერტაიმში გადამყვანი ბურთი კი ისროლა, მაგრამ...

ამ დღეებში ექვსწლიანი და 63 მილიონიანი კონტრაქტის გაფორმებით გახარებული ვალი შჩერბიაკი მთელი შემართებით ებულრავა მილუოკელ „ხარირმებს" და კევინ გარნეტთან ერთად, ვინაც საამსეზონოდ სარეკორდო 24 მოხსნა მიითვალა „მინესოტა" მორიგ გამარჯვებას აზიარა.

**ირაკლი ბერტაია**

# ვარსკვლავური ომები
## თუ მშვიდობა იქნა, საქართველოც იომებს

*დღეს-ხვალ პლანეტის სარაგბო მინდვრებს ტესტ-მატჩები შეაზანზარებს. მსოფლიოს ყველა ძლიერი სარაგბო ქვეყნის ნაკრები ვილაც მეტნაკლებად თავის სწორს შეებმება. სამწუხაროდ, ამ ტესტმატჩების სიაში საქართველოს ვერ ამოიკითხავთ, ბორჯღალოსანთა სახელი ჯერ ისე არა ქუხს, ზელანდია-ავსტრალიას ვინ ჩივის, თუნდაც მომცრო უელსშოტლანდიამ გვიკადროს. არადა, დაახლოებით ჩვენი ზომა-წონის, მაგრამ უფრო ღრმა ტრადიციების რუმინეთი ამას წინათ უელსს შეეთამაშა. მართალია, 3:40 განადგურდა, მაგრამ ეს ის შემხთვევაა, როცა გამარჯვება კი არა, თამაშიც მნიშვნელოვანი მოვლენაა. დღეს კი იგივე რუმინეთი ელიტარული ექვსი ერის კიდევ ერთ წარმომადგენელს, შოტლანდიას წაებურთავება. ჩვენ კი კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს ვლახთა დამარცხება, სანამ ბობოლები შინაურად ჩაგვთვლიან, მანამდე კი...*



სამხრეთაფრიკელებთან შეხვედრისწინავარჯიშისას ფრანგთა ოსტატი ბერნარ ლაპორტი შეგირდებს ჭკუასთან ერთად ხელებსაც ახმარს

### საფრანგეთი — სამხრეთ აფრიკა მარსელი

ფრანგებთან ბოლო შეხლა მწარედ ახსოვთ ქვემოაფრიკელებს. შარშან ევროპელებმა ისინი 20:10 დაამარცხეს და ვინძლო წლეულსაც იგივე დამართონ, რისი თქმის საფუძველსაც „მამლების" შესანიშნავი სათამაშო ფორმა იძლევა. „მსოფლიოს თასამდე 11 თვე და 11 ტესტი გვრჩება და ყველა მათგანი ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ. სასურველია, ახლაც მოვიგოთ, რადგან აფრიკელებს, შესაძლოა, მსოფლიოს თასზე გადავეყაროთ და მაშინ ბევრს გადაწყვეტს ფსიქოლოგიური უპირატესობა" — ამბობს „მამლების" მწვრთნელი ბერნარ ლაპორტი.

### ირლანდია — ავსტრალია დუბლინი

წარმოიდგინეთ, ირლანდიელები გამარჯვებას გეგმავენ მსოფლიოს ჩემპიონ ავსტრალიელებთან. ისე გაკადნიერდნენ, ბოლო მსოფლიოს თასის მომგებ მწვანე კონტინენტის შვილებს ფიქტიურ ჩემპიონად მოიხსენიონ. ზურმუხტკუნძულელები ფიქრობენ, რომ სწორედ ახლა გატეხავენ ნავს და სამთაგან ერთ-ერთ სამხრეთნახევარსფეროელ გიგანტს, რაც 1979 წლის შემდეგ არ მომხდარა.

ირლანდიელთა ბაქიბუქობამ დააფრთხო თუ სხვა რამ მიზეზის გამო, სტუმართა მწვრთნელი ედი ჯონსი ერთგვარი კრძალვით უყურებს „სამყურებს" და განსაკუთრებით ფრთხილად არჩევს სიტყვებს პროგნოზის გამოთქმისას.

„სადღეისოდ ირლანდია ყველაზე კარგ ფორმაში მყოფი ევროპული გუნდია" — ამბობს ჯონსი. თავად „ვოლბთა" მომზადებას რაც შეეხება, მათ აგვისტოში ჩამთავრებული სამი ერის პირველობის შემდეგ მხოლოდ ერთი ტესტი გამართეს (არგენტინასთან) და ამ თამაშით აპირებენ თავის გამოცდას.

ირლანდიას არ ეყოლება კაპიტანი და ლიდერი კრის ვუდი. მის გარეშე დარჩენილ „სამყურებს" ქართველთავის მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში ორი ლელოს გამტანი მარჯვენა შუამარბი ბრაიან ოდრისკოლი გაუძღვება.

### ინგლისი — ახალი ზელანდია ლონდონი

შესაძლოა, ეს არის ყველაზე მძლავრი წყვილი, მაგრამ წინასწარი ცნობებით ზელანდია საკმაოდ გადახალისებული შემადგენლობით ეწვია „თვიჭნემს". მართალია, „ოლ ბლექსის" შემადგენლობაში ყვირის ჯონა ლომუს გვარი, მაგრამ აქ აგრეთვე ინგლისელები ნაკლები კრძალვით ამოიკითხავენ 12 ახალწვეულის სახელს.

ლომუს წარსულში მრავალგზის დაუნგრევია ინგლისელები და მართალია, ახლა ძველებურად ველარ მრისხანებს, ხანდახან ძირითად 15-ეულშიც ვერ ხვდება, მაგრამ კვლავინდებურად აფრთხობს ბრიტანელებს. „ჩვენ განსაკუთრებული გეგმა გვაქვს ლომუს გასაჩერებლად, მაგრამ არ მინდა, ახლა ამის თქმა. შეიძლება, ერთი კაცის სიძლიერეზე ილაპარაკო, მაგრამ მერე აღმოჩნდება, რომ მოწინააღმდეგის სხვა მოთამაშეც არანაკლებ ძლიერია — ამბობს ინგლისელთა თავკაცი კლაივ ვუდვორდი — ამ გუნდში ბევრი ახალგაზრდაა, მაგრამ ეს მაინც „ოლ ბლექსია" და იქ სუსტები არ თამაშობენ, განსაკუთრებით კი უკანა ხაზში".

სამხრეთელებს კი მოგება-წაგება ამჯერად არ აფიქრებთ. ისინი კვლავინდებურად ფიქრობენ, რომ მსოფლიოში უძლიერესები არიან და მთელი მონდომებით ცდილობენ იმ ბოლო სამი მსოფლიოს თასის ვერმოგებით შელახული პრესტიჟის აღდგენას. ახლა ისინი სერიოზულად აპირებენ გადახალისებას და ევროპაშიც მხოლოდ ინგლისთან წასათამაშებლად როდი ჩამოვიდნენ. ამ თვეში „ოლ ბლექსი" ფრანგებსაც მოუსინჯავენ ძალას და უელსელებსაც.

### შოტლანდია — რუმინეთი ედინბურგი

### უელსი — ფიჯი კარდიფი



7 ნოემბერი

**ფილადელფია 0:1 ნიუ ჯერსი 0:0 0:0 0:1**

**0:1 ლანგენბრუნერი (53)**

ეს იყო დღის მთავარი მატჩი. ფილადელფიამ და ნიუ ჯერსიმ საუცხოოდ დაიწყეს სეზონი და ყველას დაანახვეს, რომ კვლავაც თასის მაძიებელთა შორის იქნებიან. ინტერესს ისიც ამძაფრებდა, რომ ორივე გუნდს ახალი თავკაცი ჰყავს, შესაბამისად, კენ ჰიჩკოკი და პეტ ბერნსი, ამბიციური და კარგი რეპუტაციის მქონე სპეციალისტები. მათ იციან, როგორააწყონ თამაში, თუმც მოთამაშეების დიდი სიმპათიებით არასდროს სარგებლობდნენ. ეს მათი პირველი დაპირისპირება იყო მიმდინარე სეზონში, ამიტომ გუნდები სათანადოდ განეწყვნენ და თამაშიც წმინდა წყლის „ჰიჩკოკ-ბერნსული" გამოდგა — ფხიზელი, დაცვაზე აქცენტირებული. საბოლოოდ საქმე ისე წავიდა, რომ მატჩის ბედი ერთადერთმა შეცდომამ გადაწყვიტა. ერიკ დესჟარდენმა თავის ზონაში შაიბა ვერ დაიმორჩილა და ნიუჯერსელმა ჯეიმი ლანგენბრუნერმა საჩუქარი უმალ შეიფერა. საინტერესოა, რომ წუთით ადრე მასპინძლებს საუცხოო მომენტი შეექმნათ, მაგრამ სიმონ განიემ მარტინ ბროდო ვერ მოატყუა. „მიყვარს ასეთი მატჩები. ანგარიში დიდხანს 0:0 იყო, მაგრამ თამაშს თვალს ვერ მოსწყვეტდით, ორივე გუნდი ისეთი მონდომებით იბრძოდა — აღნიშნა მატჩის შემდეგ კმაყოფილმა პეტ ბერნსმა. ფილადელფია კი ზედიზედ 6 მოგების შემდეგ პირველად დამარცხდა.

**ვაშინგტონი 2:1 ფლორიდა 1:0 0:0 0:1 1:0**

**1:0 ლანგი (8), 1:1 მუსელიუსი (43), 2:1 იაგრი (64)**

სწორედ რომ დროზე გამოჯანმრთელდა ვაშინგტონელთა მეკარე ოლაფ კოლციგი. მან თავისიანებს ძირითად დროში ფრე შეუნარჩუნა, ხოლო ოვერტაიმში იარომირ იაგრმა უმცირესობაში გატანა შეძლო. მიუხედავად ვალერი ბურეს წინააღმდეგობისა, ჩეხმა შედეგიანად დაასრულა გარღვევა და მეკარე იანი ჰურმეც გააცურა.

**რეინჯერსი 1:0 კალგარი 0:0 0:0 0:0 1:0**

**1:0 ლიჩი (61)**

ეს ბრძოლაც დაძაბული, თუმც მწირგოლიანი იყო, ისე როგორც იმ დღის მატჩების უმრავლესობა. ბრაიან ლიჩმა კარიერაში მე-7 საოვერტაიმო გოლი გაიტანა, რაც საუკეთესო შედეგია მცველთა შორის, ხოლო მეკარე დენ ბლექბერნმა, რომელიც 19 წლისა და 171 დღისაა, შათაუტი შეასრულა, რაც ლიგის ისტორიაში მესამე შედეგია.

**სან ხოსე 2:2 ნეშვილი 1:2 0:0 1:0 0:0**

**0:1 ორზაგი (1), 0:2 ა. იუჰანსონი (13), 1:2 რატიე (17), 2:2 მარლო (54)**

**კაროლინა 2:0 ბუფალო 1:0 0:0 1:0**

**1:0 ონილი (18), 2:0 ადამსი (58)**

იან ჰლავაჩი ეს-ესაა, ვანკუვერიდან კაროლინაში გადავიდა და თავის პირველივე მატჩში შედეგიანი პასის გაკეთებაც მოასწრო და ტრავმის მიღებაც. უმალვე გუნდის პირველ სამეულში გამწესებულ ჩეხს უდიერად მოექცა ბუფალოელი ალექსეი ჟიტნიკი, რომელიც მატჩის ბოლომდე გააძევეს.

**მონრეალი 3:0 აილენდერსი 1:0 1:0 1:0**

**1:0 რივე (8), 2:0 ბულისი (22), 3:0 გილმორი (60)**

სეზონის საწყისი ეტაპის ორი უიღბლო მეკარის, ჟოზე თეოდორისა და კრის ოსგუდის დუელი შედგა. მონრეალის მეკარემ, წინა სეზონის უძვირფასესმა თეოდორმა როგორც იქნა, თავისი კლასი აჩვენა და 42 მოგერიებით შათაუტი დაიმსახურა, სამივე შაიბის გაშვებით განაწყენებულმა ოსგუდმა კი პრესასთან ლაპარაკიც არ ინდომა, სათქმელი არაფერი მაქვსო.

**სენტ ლუისი 2:5 კოლუმბუსი 1:1 0:2 1:2**

**1:0 ბოგუნიცკი (8), 1:1 სენდერსონი (18), 1:2 უოლსერი (30), 1:3 კესელსი (38), 2:3 ბოგუნიცკი (54), 2:4 უაიტნი (54), 2:5 კესელსი (58)**

# ჰიჩ-ჰოკეი ჰიჩკოკს

სენტ ლუისის ფენომენური 9-მატჩიანი სერია ძალზედ მოულოდნელად შეწყდა. „ბლუზმენები" შინ დამარცხდნენ, თან მათთვის ერთ-ერთ ყველაზე მოსახერხებელ მეტოქესთან.

„ვაფრთხილებდი ბიჭებს, სახიფათო თამაში იქნება-მეთქი, მაგრამ აინუნშიც არ ჩააგდეს. პირველი პერიოდში ხელიდან გაუშვეს მომენტები და ეს ძვირად დაუჯდათ" — ჩიოდა სენტ ლუისის თავკაცი ჟოელ კენევილი მატჩის შემდეგ.

**დეტროიტი 2:1 ბოსტონი 0:0 0:0 1:1 1:0**

**0:1 ტორნტონი (46), 1:1 ლიდსტრიომი (51), 2:1 ფიოდოროვი (63)**

კიდევ ერთი მარცხი და ჩემპიონი 50-პროცენტიან ზღვარზე დაეშვებოდა, მაგრამ ლიდერების ძალისხმევით გადარჩა. ჯერ ნიკლას ლიდსტრიომმა შეწყვიტა 121-წუთიანი უხეირობა, შემდეგ კი სერგეი ფიოდოროვმაც გაიტანა თავისი მე-11 საოვერტაიმო გოლი, რითაც ლიგის ყველა დროის ლიდერს სტივ ტომასს გაუტოლდა.

**ჩიკაგო 5:0 ატლანტა 3:0 1:0 1:0**

**1:0 არნასონი (5), 2:0 კალდერი (12), 3:0 სალივანი (14), 4:0 ბელი (22), 5:0 საიმონი (45)**

ატლანტამ ბოლო მატჩებში თითქოს ააწყო თამაში, მაგრამ ჩიკაგოს პირველი დარტყმისთანავე ყველაფერი ნაცარტუტად იქცა. ოქტომბრის საუკეთესო ახალბედას ტაილერ არნასონის შეტევა მეკარე პასი ნურმინენისთვის სიურპრიზი გამოდგა და ამის შემდეგ სტუმრები შეხლა-შემოხლითღა გამოირჩნენ.

**ფინიქსი 4:1 მინესოტა 3:0 0:0 1:1**

**1:0 დოუნი (7), 2:0 უილსონი (15), 3:0 დოუნი (18), 4:0 ლემიე (49), 4:1 დიუპუი (51)**

ფინიქსმა ჩემპიონატის მოულოდნელ ლიდერს 26 ოქტომბერს 1:6 განადგურებისთვის საკადრისად უპასუხა.




ფლორიდელმა რაიან ჯონსმა გააფრინა — ვაშინგტონელი დაინიუს ზუბრუსი

REUTERS

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 13 | 9 | 2 | 0 | 2 | 44:24 | 20 |
| პიტსბურგი | 12 | 7 | 2 | 1 | 2 | 43:37 | 17 |
| ნიუ ჯერსი | 11 | 8 | 0 | 0 | 3 | 27:17 | 16 |
| რეინჯერსი | 16 | 6 | 2 | 0 | 8 | 38:49 | 14 |
| აილენდერსი | 13 | 3 | 1 | 0 | 9 | 29:50 | 7 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 12 | 7 | 2 | 1 | 2 | 38:31 | 17 |
| მონრეალი | 13 | 5 | 4 | 0 | 4 | 36:40 | 14 |
| ოტავა | 10 | 5 | 1 | 0 | 4 | 26:22 | 11 |
| ტორონტო | 13 | 4 | 2 | 0 | 7 | 41:42 | 10 |
| ბუფალო | 13 | 3 | 3 | 0 | 7 | 26:30 | 9 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 13 | 7 | 2 | 0 | 4 | 47:36 | 16 |
| კაროლინა | 14 | 6 | 2 | 2 | 4 | 31:32 | 16 |
| ვაშინგტონი | 14 | 7 | 1 | 0 | 6 | 31:37 | 15 |
| ფლორიდა | 14 | 5 | 1 | 2 | 6 | 32:45 | 13 |
| ატლანტა | 12 | 1 | 1 | 1 | 9 | 30:48 | 4 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 12 | 9 | 1 | 0 | 2 | 48:25 | 19 |
| დეტროიტი | 14 | 7 | 2 | 0 | 5 | 44:36 | 16 |
| ჩიკაგო | 13 | 7 | 1 | 0 | 5 | 32:28 | 15 |
| კოლუმბუსი | 13 | 6 | 1 | 1 | 5 | 39:37 | 14 |
| ნეშვილი | 13 | 1 | 2 | 4 | 6 | 27:41 | 8 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| მინესოტა | 14 | 9 | 2 | 0 | 3 | 46:32 | 20 |
| კალგარი | 14 | 5 | 3 | 3 | 3 | 38:39 | 16 |
| ვანკუვერი | 14 | 5 | 4 | 0 | 5 | 35:38 | 14 |
| კოლორადო | 13 | 4 | 4 | 2 | 3 | 35:33 | 14 |
| ედმონტონი | 12 | 3 | 3 | 1 | 5 | 29:34 | 10 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 14 | 7 | 3 | 1 | 3 | 44:32 | 18 |
| ლოს ანჯელესი | 13 | 6 | 2 | 1 | 4 | 39:38 | 15 |
| ფინიქსი | 14 | 6 | 0 | 1 | 7 | 32:43 | 13 |
| სან ხოსე | 13 | 5 | 1 | 1 | 6 | 36:42 | 12 |
| ანაჰაიმი | 13 | 4 | 3 | 0 | 6 | 33:38 | 11 |

# ბაბიჩმა კარგად იჩივლა

დეივ ბაბიჩმა ლამის ერთი წელი წერა საჩივრები, რათა თავისი სიმართლე დაემტკიცებინა. 1998 წელს ფილადელფიაში მოასპარეზე მცველს ფეხის ძვალი გაუტყდა. ცოტა ხანში პლეი ოფი დაიწყო და გუნდის მესვეურებმა ორ კვირაში აიძულეს იგი, ყინულზე გასულიყო. ბაბიჩმა ბუფალოსთან მთელი სერია ითამაშა ტკივილგამაყუჩებელი ნემსებით, რამაც მერე მთელი კარიერა წაუხდინა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ეს ყველაფერი და მისი გადაწყვეტილებით ჰოკეისტი 1,37 მილიონ კომპენსაციას მიიღებს. თუმც გუნდის მაშინდელი ექიმი არტურ ბარტოლოცი სასჯელს გადაურჩა. პასუხისმგებლობა მთელ გუნდს დააკისრეს. „ეს სხვებისთვის კარგი მაგალითი იქნება" — თქვა გამარჯვებულმა ბაბიჩმა.

**სამველ ღარიბიანი**



# და როჩები

ჩვენ სულ ტანია მარიას ბრაზილიელობას გავიძახით, ამასობაში კი აქა გვყავს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი კარლოს და როჩა და მისი კოხტა ცოლ-შვილი, თბილისის ბრაზილიური ოჯახი.

REUTERS ნიუ იორკიდან



# საკრივო მომავალი

არ იფიქროთ, რომ ევანდერ ჰოლიფილდი და ლენოქს ლუისი მესამედ შეხვედრას აპირებენ. უბრალოდ, ნიუ იორკში მომავალი საკრივო გეგმების გაცხადების ცერემონიალი გაიმართა. ჰოლიფილდი ფედერაციის (იბფ) უპატრონო ქამარისათვის შეერკინება კრის ბერდს ამა წლის 14 დეკემბერს. ეს ქამარი ლენოქს ლუისმა დათმო და ახლა მხოლოდ საბჭოს (ვბკ), თუმცალა მსოფლიოს ნამდვილ ჩემპიონად რჩება. ასოციაციის (ვბა) ქამარს კი ჯონი რუისი ფლობს, რომელსაც გაისად, 1 მარტს ტიტულის დაცვის თარიღი მოუდის. მისი მეტოქე ლეგენდარული როი ჯონსი იქნება, რომელიც, როგორც ჩანს, მაინც ასრულებს ოცნებას და მძიმე წონის ჩემპიონობისკენ მიიწევს. ჯონსი ადრეც აცხადებდა, რომ საშუალო წონებში ჩხუბი აღარ აინტერესებდა და საგანგებო დამძიმებასაც აპირებდა.

# გოლიათთან

ეს ხომ წესია, რომ ამერიკის ბეისბოლის გუნდები იაპონიას ეწვევიან ხოლმე ან ერთმანეთთან, ან იქაურ გუნდებთან სათამაშოდ. ახლაც ასეა, კუნძულებს „სან ფრანცისკო ჯაიანთსი“ სტუმრობს. ფრისკოელი ბარი ბონდსი „ტოკიო დოუმში“ ზის ნამდვილი გოლიათის გვერდით. ეს კაცი სუმოს ძველი იოკუძუნა კონიშიკი გახლავთ.



REUTERS ტოკიოდან

REUTERS დენვერიდან



# მისტერ მო

დენვერში იქაური „ნაგიტსის“ ყოფილი მწვრთნელის დაგ მოს მიაგეს პატივი. მთელს დარბაზს მისტერ მოს ფოტონიღბები ეჭირა. „ნაგიტს“ — „დეტროიტის“ შესვენებისას საზეიმოდ გამოაცხადეს, რომ დაგ მოს თავკაცობით „ნაგიტსს“ 432 თამაში მოუგია.

# მერიონის ლექციები

ჰონკონგს ჩასულა მძლეოსნობის დედოფალი მერიონ ჯონსი, რომელიც იქაურ ნორჩებს რბენის გაკვეთილებს ჩაუტარებს მძლეოსნობის ინსტიტუტში. ორი კვირაა, რაც მერიონმა ვარჯიში განაახლა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაისად პარიზის მსოფლიო ჩემპიონატზე აუცილებლად იასპარეზებს.



REUTERS ჰონგ კონგიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღლონტიაშვილი, ბადრი კვიილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვიჩა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge